

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №

2020 წლის

ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტის - „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მარკირების წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №427 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტის - „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მარკირების წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №427 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 10/01/2014, 300160070.10.003.017652) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მარკირების წესი“ ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

**მუხლი 2.**

პესტიციდი და აგროქიმიკატი, რომელიც მარკირებულია ამ დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მარკირების წესი“-ს ამოქმედებამდე და არ შეესაბამება ამ დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, დასაშვებია ბაზარზე განთავსებულ იქნეს მათ ხელახალ რეგისტრაციამდე, მაგრამ არაუმეტეს ამ დადგენილების ამოქმედებიდან 5 წლის განმავლობაში.

**მუხლი 3.**

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის პირველი იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი გახარია

# „ტექნიკური რეგლამენტი - პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მარკირების წესი“

## თავი I. ზოგადი დებულებები

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. „ტექნიკური რეგლამენტი - პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მარკირების წესი“ (შემდგომში - წესი) არეგულირებს პესტიციდებისა და აგროქიმიკატების, მათ შორის, მიკრობიოლოგიური საშუალებების მარკირებასა და შეფუთვისთან დაკავშირებულ საკითხებს.
2. ეს წესი განკუთვნილია პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ყველა დამამზადებელი საწარმოსათვის, იმპორტიორებისათვის, დისტრიბუტორებისათვის, რეალიზატორებისა და მომხმარებლებისათვის, ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის, ვისი საქმიანობაც დაკავშირებულია პესტიციდების და აგროქიმიკატების იმპორტთან, წარმოებასთან (დაფასობასთან), ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან, რეალიზაციასთან, რეკლამასთან და გამოყენებასთან.
3. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მიმოქცევასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული პირები ვალდებული არიან, ადამიანისა და გარემოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პრეპარატული ფორმების და აგროქიმიკატების შეფუთვისა და მარკირებას.
4. პესტიციდებთან და აგროქიმიკატებთან დაკავშირებული საფრთხეების შესახებ მომხმარებელთა ინფორმირების მიზნით, უზრუნველყოფილი უნდა იქნას მათი მარკირება და შეფუთვა ამ წესის შესაბამისად, მათი ბაზარზე განთავსებამდე.
5. პესტიციდებსა და აგროქიმიკატებთან დაკავშირებული ინფორმაცია წარდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე. დასაშვებია ინფორმაცია დამატებით წარდგენილი იქნას სხვა ენაზეც.
6. პესტიციდის და აგროქიმიკატების ტარის ეტიკეტზე შესაძლებელია განთავსებული იქნას უსაფრთხო გამოყენების ინსტრუქცია და გამოყენების რეგლამენტი, თუკი ტექნიკურად შესაძლებელია მათი მოთავსება შეფუთვის ერთეულზე. პესტიციდების და აგროქიმიკატების ეტიკეტის დიზაინი არ რეგლამენტირდება.
7. GHS/CLP კლასიფიკაცია ეფუძნება ნივთიერების ან ნარევის ძირითადი მახასიათებლების სტანდარტული ტესტებით ან სხვა საშუალებებით საშიშროების იდენტიფიცირებას და გამოხატავს კონკრეტული ნივთიერების ან ნარევის საშიშროების ტიპსა და ხარისხს, ანუ მის უნარს ზიანი მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობას ან გარემოს. ნარევის (პრეპარატების) შეფასება და კლასიფიკაცია ყოველთვის ხდება ინდივიდუალურად. იმ

შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ნარევის შეფასება, გამოიყენება მონაცემები ყველა იმ ნივთიერების შესახებ, რომელიც შედის მის შემადგენლობაში.

8. შემდგომ მომხმარებლებს უნდა შეეძლოთ ამ წესის შესაბამისად ნივთიერების ან ნარევის დადგენილი კლასიფიკაციის გამოყენება, რომელიც მიღებული იქნება მიწოდების ქსელში მონაწილე პირის მიერ, იმ პირობით, რომ ისინი არ შეცვლიან ნივთიერების ან ნარევის შემადგენლობას, ხოლო დისტრიბუტორებს უნდა შეეძლოთ მიწოდების ქსელში მონაწილე პირის მიერ ამ წესის შესაბამისად ნივთიერების ან ნარევის დადგენილი კლასიფიკაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდება საბოლოო მომხმარებლისთვის.

9. სახიფათო ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, იმ შემთხვევაში, როდესაც ნარევები შეიცავს აღნიშნულ ნივთიერებებს სულ მცირე ერთი სახიფათოდ კლასიფიცირებული ნივთიერების სახითაც, ეტიკეტზე დატანილი უნდა იყოს დამატებითი ინფორმაცია.

10. სახიფათოდ კლასიფიცირებული ნივთიერებები და ნარევები მარკირებული უნდა იქნას და შეიფუთოს მათი კლასიფიკაციის მიხედვით ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნას სათანადო დაცვა და წარმოდგენილი იყოს საჭირო ინფორმაცია ნივთიერების ან ნარევის მომხმარებლებისათვის.

11. ნივთიერებებისა და ნარევების რისკების კომუნიკაციისთვის გათვალისწინებულია ორი ინსტრუმენტი: ეტიკეტი და უსაფრთხოების შესახებ მონაცემები. ეტიკეტი მომხმარებლებისთვის ზუსტი ინფორმაციის მიღების ერთადერთი საბაზისო საშუალებაა. მისი გამოყენება ასევე შესაძლებელია ოპერატორების ყურადღების მისაპყრობად უფრო მნიშვნელოვან ინფორმაციაზე იმ ნივთიერებების ან ნარევების შესახებ, რომელიც განსაზღვრულია ნივთიერებათა უსაფრთხოების მონაცემთა დოკუმენტში (MSDS) (შემდგომში - უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი) - ნივთიერებების მიწოდების ქსელში პროფესიონალი მომხმარებლებისათვის კომუნიკაციის ძირითად საშუალებაში. უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი მოიცავს ინფორმაციას ადამიანისა და გარემოსთვის საფრთხის შესახებ, რომელიც წარმოიქმნება იმ პრეპარატებისაგან, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული როგორც საშიში, მაგრამ, მოიცავს ნივთიერებებს რომლებიც კლასიფიცირებულია როგორც საშიში, ან აქვს კანონმდებლობით განსაზღვრული ზემოქმედების ზღვარი.

12. ეტიკეტზე გასათვალისწინებელი ელემენტები უნდა განისაზღვროს რისკის პიქტოგრამების, სასიგნალო სიტყვების, საშიშროების განცხადების და გამაფრთხილებელი განცხადებების შესაბამისად, რაც წარმოადგენს გლობალური ჰარმონიზებული სისტემის

(GHS-ის) რისკების შესახებ ძირითად ინფორმაციას. ეტიკეტზე მოცემული სხვა ინფორმაცია მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს და არ უნდა აყენებდეს ეჭვის ქვეშ ძირითად ელემენტებს.

13. დაუშვებელია ისეთი განცხადებების მითითება რომელიმე ნივთიერების ან ნარევის ეტიკეტზე ან შეფუთვაზე, რომლებიც მიუთითებენ, რომ ნივთიერება/ნარევი სახიფათო არ არის ან შეუსაბამოა მათ კლასიფიკაციასთან, როგორცაა „არატოქსიკური“, „უსაფრთხო“, „არადაამბინძურებელი“, „ეკოლოგიური“ ან სხვა.

## **მუხლი 2. მიზანი და გამოყენების სფერო**

1. ამ წესის მიზანია უზრუნველყოს ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს მაღალი ხარისხით დაცვა, ასევე ნივთიერებების, ნარევისა და მზა ფორმით კონკრეტული პესტიციდების და აგროქიმიკატების თავისუფალი მოძრაობა და ხელი შეუწყოს საერთაშორისო ვაჭრობას; უზრუნველყოს ბაზარზე განთავსებული ნივთიერებებისა და ნარევის, მათ შორის სახიფათო ნივთიერებებისა და ნარევის, მარკირებისა და შეფუთვის ჰარმონიზაცია და მომწოდებლების მიერ ვალდებულებების შესრულება.

2. ესწესი არ ეხება:

ა) ნივთიერებებსა და ნარევის, რომლებიც ექვემდებარება საბაჟო შემოწმებას, იმ პირობით, თუ ისინი არ გადიან არავითარ დამუშავებას, და რომლებიც დროებით არის დასაწყობებული, თავისუფალ ზონაში ან საწყობში რეექსპორტის ან ტრანზიტის მიზნით;

ბ) ნივთიერებებსა და ნარევის, განკუთვნილი ცდებისა და სამეცნიერო კვლევისათვის, რომლებიც ბაზარზე არ არის განთავსებული, თუ ისინი გამოიყენება კონტროლირებად პირობებში.

3. ეს წესი არ ვრცელდება საშიში საქონლის ტრანსპორტირებაზე საჰაერო, საზღვაო, სახმელეთო, სარკინიგზო ან შიდა სამდინარო გზებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოქმედებს გარე შეფუთვის, შიდა შეფუთვის და ცალკეული შეფუთვის მარკირების სპეციფიკური წესები.

## **მუხლი 3. ტერმინთა განმარტებები**

ამ წესის მიზნებისთვის გამოიყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა ::

ა) საშიშროების კლასი - ფიზიკური, ჯანმრთელობის ან გარემოს მიმართ საშიშროების მახასიათებელი;

ბ) საშიშროების კატეგორია - საშიშროების თითოეულ კლასში კრიტერიუმების დაყოფა,

საშიშროების ხარისხის განსაზღვრით;

გ) საშიშროების პიქტოგრამა - გრაფიკული გამოსახულება, რომელიც მოიცავს სიმბოლოს და სხვა გრაფიკულ ელემენტებს, როგორებიცაა საზღვრები, ფონი ან ფერი, რომლის მიზანია განსახილველი საშიშროების შესახებ კონკრეტული ინფორმაციის მიწოდება;

დ) სიმბოლო - გრაფიკული ელემენტი ინფორმაციის მოკლედ გადმოსაცემად;

ე) სასიგნალო სიტყვა - სიტყვა, რომელიც მიუთითებს რისკების ხარისხის შესაბამის დონეს, რაც უზრუნველყოფს მომხმარებლის გაფრთხილებას პოტენციური საშიშროების შესახებ. ის მოიცავს შემდეგ ორ დონეს:

ე.ა) საშიშროება - სასიგნალო სიტყვა, რომელიც მიუთითებს უფრო მაღალი ხარისხის საშიშროების კატეგორიებზე;

ე.ბ) გაფრთხილება - სასიგნალო სიტყვა, რომელიც მიუთითებს ნაკლები ხარისხის საშიშროების კატეგორიებზე;

ვ) საშიშროების შესახებ განცხადება - საშიშროების კლასისთვის და კატეგორიისთვის მინიჭებული ფრაზა, რომელიც აღწერს სახიფათო ნივთიერების ან ნარევის საშიშროებების ტიპს, მათ შორის, საჭიროებისამებრ, საშიშროების ხარისხს;

ზ) გამაფრთხილებელი განცხადება - ფრაზა, რომელიც აღწერს გამოყენების ან განკარგვის შედეგად სახიფათო ნივთიერების ზემოქმედების უარყოფითი შედეგების შემცირებისთვის ან პრევენციისათვის რეკომენდირებულ ღონისძიებებს;

თ) ნივთიერება - ქიმიური ელემენტი და მისი შენაერთი ბუნებრივ მდგომარეობაში ან შექმნილი წარმოების გზით, მათ შორის ნებისმიერი დანამატი, რომელიც აუცილებელია მისი სტაბილურობის შესანარჩუნებლად და ყველა მინარევი წარმოქმნილი საწარმოო პროცესის შედეგად, გარდა იმ გამხსნელისა, რომელიც შეიძლება გამოიყოს ნივთიერების სტაბილურობაზე ზემოქმედების ან მისი შემადგენლობის შეცვლის გარეშე;

ი) პრეპარატები (მცენარეთა დაცვის საშუალებები) - ნარევი ან ხსნარები, რომლებიც შედგება ორი ან მეტი ნივთიერებისგან, მცენარეთა დაცვის პრეპარატის ან ადიუვანტის სახით გამოყენებისათვის;

კ) საშიში ნივთიერებები - ნებისმიერი ნივთიერება, რომელსაც აქვს დამახასიათებელი უნარი, მოახდინოს უარყოფითი გავლენა ადამიანებზე, ცხოველებზე ან გარემოზე და წარმოდგენილია ან იწარმოება პესტიციდებში ისეთი კონცენტრაციით,

- რაც ასეთი ზემოქმედების რისკებს წარმოქმნის და შედეგად პროდუქტი ჩაითვლება საშიშად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ლ) საშიში პრეპარატები - პრეპარატები, რომელიც მოიცავს სულ მცირე ერთ საშიშ ნივთიერებას ითვლება საშიშად;
- მ) მოქმედი ნივთიერება - პროდუქტის ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს პესტიციდურ მოქმედებას;
- ნ) კო-ფორმულიანტი - მზა პროდუქტის არააქტიური ინგრედიენტის კომპონენტი;
- ო) რეგისტრანტი - ნივთიერების ან ნარევის შემქმნელი, მწარმოებელი, იმპორტიორი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც შეაქვს განაცხადი პესტიციდებისა და აგროქიმიკატების რეგისტრაციისათვის;
- პ) წარმოება - ნივთიერებების წარმოება ან ნივთიერების გამოყოფა ბუნებრივ მდგომარეობაში;
- ჟ) მწარმოებელი (დამამზადებელი) - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც აწარმოებს ნივთიერებას, პესტიციდს ან აგროქიმიკატს;
- რ) ბაზარზე განთავსება - პესტიციდის ან აგროქიმიკატის რეალიზაციის მიზნით განთავსება, მათ შორის, გაყიდვის ან სხვა ფორმით გადაცემის შეთავაზება, სასყიდლით ან უსასყიდლოდ მიწოდება, რეალიზაცია, დისტრიბუცია და სხვა ფორმით მიწოდება. ბაზარზე განთავსებად არ მიიჩნევა მყიდველის მიერ პესტიციდის ან აგროქიმიკატის იმ პირისათვის დაბრუნება, რომლისგანაც შეიძინა იგი. იმპორტი ჩაითვლება ბაზარზე განთავსებად;
- ს) შემდგომი (შუალედური) მომხმარებელი - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, გარდა მწარმოებლისა და იმპორტიორისა, რომელიც იყენებს ნივთიერებას თავისთავად ან ნარევში, მისი სამრეწველო ან პროფესიული საქმიანობის მიმდინარეობისას. დისტრიბუტორი ან მომხმარებელი არ წარმოადგენს შემდგომ მომხმარებელს. რეიმპორტიორი, რომელიც განთავისუფლებულია ნივთიერებისა და ნარევის კლასიფიკაციების ვალდებულებების შესრულებისგან და უნდა ღებულობდეს მიმწოდებლის მიერ მინიჭებულ კლასიფიკაციას, განიხილება შემდგომ მომხმარებლად;
- ტ) დისტრიბუტორი- ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, საცალო მოვაჭრეს ჩათვლით, რომელიც მესამე მხარეებისთვის ახდენს ნივთიერების ან მის ნარევის შენახვას ან ბაზარზე განთავსებას;
- უ) პროფესიონალი მომხმარებელი - მომხმარებელი, რომელიც იყენებს პესტიციდებს თავისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში, კერძოდ: ოპერატორები, ტექნიკოსები,

- დამსაქმებლები, აგრეთვე, თავისუფალი პროფესიის ადამიანები, რომლებიც დასაქმებულნი არიან, როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე სხვა სექტორებში;
- ფ) სააგენტო - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სურსათის ეროვნული სააგენტო;
- ქ) მოხმარება - ნებისმიერი გადამუშავება, შედგენა, გამოყენება, დასაწყობება, შენახვა, დამუშავება, შევსება კონტეინერებში, გადატანა ერთი კონტეინერიდან მეორეში, შერევა, პროდუქტის წარმოება ან უტილიზაციის სხვა სახე;
- ღ) პესტიციდებისა და აგროქიმიკატების უსაფრთხო მოხმარება – მოქმედების ნორმები და სტანდარტები, რომლებიც გამორიცხავენ ადამიანის, დასაცავი მცენარეებისა და ცხოველების ჯანმრთელობასა და გარემოზე ნეგატიურ ზემოქმედებას მათი კონკრეტული სახით გამოყენების, შემუშავების, გამოცდის, ექსპერტიზის, რეგისტრაციის, წარმოების, მარკირების, შეფუთვის, რეალიზაციის, შენახვის, ტრანსპორტირების, რეკლამის დროს;
- ყ) მომწოდებელი - ნებისმიერი მწარმოებელი, იმპორტიორი, შემდგომი მომხმარებელი ან დისტრიბუტორი, რომელიც ბაზარზე ათავსებს თავად ნივთიერებას ან ნივთიერებას ნარევში, ან ნარევს (პრეპარატს);
- შ) UN RTDG - გაერთიანებული ერების რეკომენდაციები სახიფათო საქონლის ტრანსპორტირების შესახებ;
- ჩ) ცდები და სამეცნიერო კვლევები - კვლევები, ქიმიური ანალიზი და ექსპერიმენტები, რომელიც ხორციელდება კონტროლირებად პირობებში და რომელთა მიზანია მოქმედი ნივთიერების ან პესტიციდების, აგროქიმიკატების თვისებების და მოქმედებების განსაზღვრა, მოქმედი ნივთიერებების და/ან მათი რელევანტური მეტაბოლიტების რისკების პროგნოზირება, რისკის უსაფრთხო დონეების განსაზღვრა და პესტიციდების უსაფრთხო გამოყენების პირობების დადგენა;
- ც) ზღვრული სიდიდე - ნივთიერებაში ან ნარევში ნებისმიერი კლასიფიცირებული დამაბინძურებლის, დანამატის ან ცალკეული შემადგენლის ზღვარი, რომლის ზევითაც ის გათვალისწინებული უნდა იქნას იმის განსაზღვრისას, კლასიფიცირდება თუ არა ნივთიერება ან ნარევი შესაბამისად;
- ძ) კონცენტრაციის ზღვარი - ნივთიერებაში ან ნარევში ნებისმიერი კლასიფიცირებული დამაბინძურებლის, დანამატის ან ცალკეული შემადგენლის ზღვარი, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ნივთიერების ან ნარევის კლასიფიკაცია შესაბამისად;

წ) დიფერენციაცია - განსხვავება საშიშროების კლასების ფარგლებში ზემოქმედების გზებზე ან ზემოქმედების ფორმაზე დაყრდნობით;

ჭ) M-კოეფიციენტი - გამრავლების კოეფიციენტი. ის გამოიყენება ისეთი ნივთიერების კონცენტრაციისთვის, რომელიც კლასიფიცირდება სახიფათოდ წყლის გარემოში, მწვავე კატეგორიად 1 ან ქრონიკულ კატეგორიად 1 და გამოიყენება შეჯამების მეთოდით ნარევის კლასიფიკაციის მისაღებად, რომელიც მოიცავს ამ ნივთიერებას;

ხ) შეფუთული პროდუქტი - შეფუთვის ოპერაციის შედეგად მიღებული სრული პროდუქტი, რომელიც შედგება შეფუთვისა და მისი შიგთავსისგან;

ჯ) შეფუთვა - ერთი ან რამოდენიმე ტარა (შესანახი ჭურჭელი) და ნებისმიერი სხვა კომპონენტი ან მასალა, რომელიც საჭიროა შესაფუთად, რომ შეასრულოს პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შენახვის და სხვა დამცავი ფუნქციები;

ჰ) შუალედური შეფუთვა - შეფუთვა, რომელიც სრულდება შიდა შეფუთვის, ან პროდუქტს და გარე შეფუთვის შორის.

## თავი II. პესტიციდების მარკირების წესი და პირობები

### მუხლი 4. პესტიციდების მარკირების მოთხოვნები

1. პესტიციდის შეფუთვაზე მკაფიოდ და გარკვევით მითითებული უნდა იქნას შემდეგი ინფორმაცია:

ა) პესტიციდის სავაჭრო დასახელება ან აღნიშვნა;

ბ) რეგისტრაციის მფლობელის დასახელება, მისამართი და პესტიციდის რეგისტრაციის ნომერი. იმ შემთხვევაში, თუ ბაზარზე განთავსებული პესტიციდის საბოლოო დაფასოებაზე ან მარკირებაზე ან საბოლოო მარკირებაზე პასუხისმგებელი პირის დასახელება და მისამართი განსხვავდება რეგისტრაციის მფლობელის დასახელებისა და მისამართისგან მაშინ მიეთითება მისი მონაცემებიც;

გ) თითოეული მოქმედი ნივთიერების დასახელება, საერთაშორისო ქიმიური დასახელება, ან მისი საერთო ISO სახელწოდება. ასეთი დასახელების არარსებობის შემთხვევაში, მოქმედი ნივთიერება უნდა აღინიშნოს მისი ქიმიური აღნიშვნით, IUPAC წესების თანახმად;

დ) თითოეული მოქმედი ნივთიერების კონცენტრაცია, რომელიც გამოიხატება შემდეგნაირად:

დ.ა) მყარი ნივთიერებებისთვის, აეროზოლებისთვის, აქროლადი სითხეებისთვის (მაქსიმალური დუდილის ტემპერატურა 50 °C) ან ბლანტი სითხეებისთვის (ქვედა ზღვარი 1 Pa – 20 °C ტემპერატურაზე), w/w % -ში მასის მიხედვით და გ/კგ;



დ.ბ) სხვა თხევადი/გელისებრი პრეპარატებისთვის, % -ში მასა/გ და გ/ლ;

დ.გ) აირებისთვის, % -ში v/v და % w/w.

ე) იმ შემთხვევაში, თუ მოქმედი ნივთიერება არის მიკროორგანიზმი, მისი შემადგენლობის შესახებ, რომელიც გამოიხატება აქტიური ერთეულების რაოდენობის მოცულობის ან მასის მიხედვით ან ნებისმიერი სხვა ნივთიერება, რომელიც მიკროორგანიზმებთან არის დაკავშირებული, მაგ. კოლონიების წარმომქმნელი ერთეულების შესახებ - გრამობით (CFU/g);

ვ) პესტიციდის სუფთა რაოდენობა(ნეტო), მოცემული: გ-ში ან კგ-ში - მყარი პრეპარატებისთვის, გ-ში, კგ-ში ან ლ-ში - აირებისთვის და მლ-ში ან ლ-ში - თხევადი პრეპარატებისთვის;

ზ) პრეპარატის პარტიის ნომერი და წარმოების თარიღი;

თ) ინფორმაცია პირველი დახმარების შესახებ;

ი) ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობის ან გარემოსათვის განსაკუთრებული რისკის დამახასიათებელი, სტანდარტული ფრაზები, რომელიც შერჩეულია სარეგისტრაციო ორგანოს მიერ დანართში №1 მითითებული ფრაზებიდან;

კ) უსაფრთხოების ზომები ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობის ან გარემოს დაცვისათვის, სარეგისტრაციო ორგანოს მიერ შერჩეული დანართში №2 მითითებული შესაბამისი სტანდარტული ფრაზების გამოყენებით;

ლ) პესტიციდების მოქმედების ტიპი ანუ დანიშნულება (მაგალითად, ინსექტიციდი, ზრდის რეგულატორი, ჰერბიციდი, ფუნგიციდი და სხვა) და მოქმედების წესი;

მ) პრეპარატული ფორმა (მაგალითად, სველებადი ფხვნილი, ემულგირებადი კონცენტრანტი და სხვა);

ნ) გამოყენების სახეები, რისთვისაც პესტიციდი რეგისტრირებულია და ნებისმიერი სპეციფიკური სასოფლო-სამეურნეო, ფიტოსანიტარიული და გარემოსდაცვითი პირობები, რომლის საფუძველზეც შეიძლება გამოყენებული იქნას ან არა აღნიშნული პროდუქტი;

ო) გამოყენების ინსტრუქციები და პირობები, ასევე ხარჯვის ნორმა, მათ შორის შესაბამის შემთხვევაში, მაქსიმალური დოზა ერთ ჰექტარზე გამოყენებისას და გამოყენების მაქსიმალური ჯერადობა წელიწადში. ხარჯვის ნორმა გამოხატულია მეტრულ ერთეულებში, თითოეული გამოყენებისთვის, როგორც გათვალისწინებულია რეგისტრაციის პირობებით;

პ) საჭიროების შემთხვევაში, უსაფრთხო ინტერვალის შესახებ თითოეული გამოყენებისთვის ბოლო გამოყენებასა და შემდეგ გამოყენებებს შორის, კერძოდ:

პ.ა) მარცვლელი კულტურების დათესვისას ან დარგვისას, რომელთა დაცვაც ხდება;

პ.ბ) შემდგომი კულტურების დათესვის ან დარგვისას;

პ.გ) ადამიანის ან ცხოველის მიერ წვდომისას;

პ.დ) მოსავლის აღებისას;

პ.ე) გამოყენების ან მოხმარებისას;

ჟ) შესაძლო ფიტოტოქსიკურობის, ჯიშის მიმღებლობის და ნებისმიერი სხვა პირდაპირი ან არაპირდაპირი უარყოფითი გვერდითი ეფექტების შესახებ მცენარეებზე ან მცენარეული წარმოშობის პროდუქტებზე, ასევე ინტერვალების შესახებ, რომელიც უნდა იყოს დაცული გამოყენებებს შორის დათესვისას ან დარგვისას;

ჟ.ა) მოცემული კულტურა, ან

ჟ.ბ) შემდგომი ან მომიჯნავე კულტურები;

რ) იმ შემთხვევაში, თუ პესტიციდს თან ახლავს ინსტრუქციის ფურცელი (ან ბუკლეტი), როგორც მითითებულია ამ მუხლის მე-2 პუნქტში - წინადადება „წაიკითხეთ თანდართული ინსტრუქციები გამოყენებამდე“;

ს) მითითებები პესტიციდების შენახვის, უსაფრთხო განკარგვის და შეფუთვის სათანადო პირობების შესახებ;

ტ) აუცილებლობის შემთხვევაში, ვადის გასვლის თარიღი (ანუ ვარგისიანობის ვადა), შენახვის ნორმალურ პირობებში;

უ) აკრძალვა, შეფუთვის ხელმეორედ გამოყენებასთან დაკავშირებით, გარდა რეგისტრაციის მფლობელის მიერ და იმ პირობით, რომ აღნიშნული შეფუთვა სპეციალურად არის განსაზღვრული რეგისტრანტის მიერ განმეორებით გამოყენებისთვის;

ფ) რეგისტრაციის საფუძველზე მოთხოვნილი ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებული პრეპარატის ბაზარზე დაშვების პირობების შინაარსთან, ან ქვეყნის სპეციფიკური პირობების გამო დაწესებულ შეზღუდვასთან ან დაშვების აკრძალვასთან, პრეპარატის მცირე გამოყენებისთვის დაშვებასთან ან კვლევა-განვითარების პირობების დაწესებასთან;

ქ) მოხმარებლების კატეგორიების შესახებ, რომლებსაც აქვთ პესტიციდების გამოყენების უფლება, სადაც გამოყენება შემოიფარგლება განსაზღვრული კატეგორიებით;

2. ინფორმაცია, რომელიც მოითხოვება პირველი პუნქტის “ო”, “პ”, “ჟ”, “ს”, “ტ” და “ფ” ქვეპუნქტებით, შეიძლება მიეთითოს ცალკე თანდართულ ინსტრუქციაზე, რომელიც თან ახლავს შეფუთვას იმ შემთხვევაში, თუ შეფუთვაზე არსებული სივრცე მეტისმეტად მცირეა. ასეთი თანდართული ინსტრუქცია ითვლება ეტიკეტის განუყოფელ ნაწილად.

3. პესტიციდის ტარის ეტიკეტზე არცერთ შემთხვევაში არ უნდა იყოს „არატოქსიკური“, „უსაფრთხო“ ან მსგავსი მითითებები. თუმცა, ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პესტიციდები შეიძლება გამოყენებულ იქნას ისეთ პირობებში, როდესაც ფუტკრები ან სხვა არასამიზნე სახეობები აქტიურია ან როდესაც კულტურები ან სარეველები ყვავის ან მსგავსი ინფორმაციის შემცველი ფრაზები ფუტკრების ან სხვა არასამიზნე სახეობების დასაცავად, შეიძლება მითითებულ იქნას ეტიკეტზე, თუ რეგისტრაცია პირდაპირ იძლევა ასეთ პირობებში გამოყენების უფლებას.

4. ცდის ან სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებელი პესტიციდის მარკირება და შეფუთვა, უნდა შეესაბამებოდეს მხოლოდ ამ მუხლის პირველი პუნქტის “ზ”, “გ”, “დ”, “ლ” და “მ” ქვეპუნქტებს, ეტიკეტზე მითითებული უნდა იყოს ინფორმაცია, რომელსაც მოითხოვს ნებართვა ცდის ან სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის და სიტყვები „პროდუქტი განკუთვნილია ცდის ან სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის და სრულად არ არის დახასიათებული, მოეპყარით განსაკუთრებული სიფრთხილით“.

5. დამატებითი ინფორმაცია მოიცავს:

ა) მოქმედი ნივთიერების დასახელებას აღნიშნული სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ISO-ს მიხედვით (ბიოლოგიური პრეპარატებისათვის მიკროორგანიზმის სახეობრივი შემადგენლობა, შტამის ან იზოლატის სახელწოდება);

ბ) გამოყენების სფეროს – რომელი მავნე ორგანიზმის მიმართ და რომელ სასოფლო-სამეურნეო კულტურასა და ობიექტზე (სათბური, ბეღელი, საწყობი) გამოიყენება;

გ) შეზღუდვებს;

დ) ინფორმაციას სხვა პრეპარატთან თავსებადობის შესახებ;

ე) შეფუთვების ჩამონათვალს;

ვ) საქართველოში წვრილი დაფასობის შემთხვევაში, აგრეთვე დამფასებლის სრულ სახელწოდებას და რეკვიზიტებს;

ზ) პესტიციდის საშიშროების (ტოქსიკურობის) კლასს და საშიშროების ნიშანს. საშიშროების აღმნიშვნელ სასიგნალო სიტყვებს, პიქტოგრამებს და სიმბოლოებს, საშიშროების შესახებ განცხადებებს და გამაფრთხილებელ განცხადებებს;

თ) ტარაზე გამოკვეთილად აღნიშნულ გამაფრთხილებელ განცხადებას EUH401: „ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე რისკების თავიდან ასაცილებლად, პრეპარატის გამოყენებამდე გაეცანით მისი უსაფრთხო მოხმარების ინსტრუქციასა და გამოყენების

რეკომენდაციას!“.

## **მუხლი 5. უსაფრთხო გამოყენების ინსტრუქცია**

1. უსაფრთხო გამოყენების ინსტრუქციაში მოცემული უნდა იყოს:

- ა) საშიშროების (ტოქსიკურობის) კლასი და საშიშროების ნიშანი;
- ბ) ეკოლოგიური უსაფრთხოების რეკომენდაციები (ფრინველებისათვის, ცხოველებისათვის, თევზებისათვის, ფუტკრებისათვის);
- გ) გამაფრთხილებელი განცხადებები ზოგადი რეკომენდირებული ღონისძიებების შესახებ (მოწვევის, ჭამის, წყლის დალევის აკრძალვა პრეპარატებთან მუშაობისას ); გამოკვეთილად აღინიშნოს პრეპარატის ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას შენახვის აუცილებლობა; პირადი ჰიგიენის მოთხოვნები სათანადო პიქტოგრამების ჩვენებით და გამაფრთხილებელი ფრაზებით (სამუშაოს შემდეგ საგულდაგულოდ დაიბანეთ ხელები).

2. უსაფრთხოების ზომებია:

- ა) პესტიციდების გადაზიდვისა და შენახვის დროს, ტარისა და შეფუთვის მთლიანობის დაცვა, საკვები პროდუქტებისაგან და ფურაჟისგან ცალკე შენახვა, მიუწვდომლობა და სხვა;
- ბ) პრეპარატის გამოსაყენებლად მომზადებისას, გასაფრქვევი პრეპარატით თუ აეროზოლით აპარატის გამართვა და სხვ.;
- გ) უშუალოდ პრეპარატის გამოყენებისას, სპეცტანსაცემელი და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;
- დ) პრეპარატთან მუშაობის შემდეგ ჰიგიენური მოთხოვნები, ტარის განადგურების შესახებ რჩევები და სხვ.;
- ე) პირველადი დახმარების აღმოჩენისას მითითებები სასუნთქი გზების, კუჭ-ნაწლავის, კანისა და თვალის დაზიანების დროს (ექიმის მითითებების, სამედიცინო კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, აუცილებელია პროდუქტის ან ტარის ეტიკეტის ქონა);
- ვ) ანტიდოტი (თუ ცნობილია);
- ზ) ცარიელი კონტეინერების უტილიზაციის ინსტრუქცია (სამჯერადი გამორეცხვა წლით და გახვრეტა);
- თ) ტოქსიკოლოგიური ცენტრის ან კვალიფიციური სპეციალისტის, დაწესებულების საკონტაქტო მონაცემები;
- ი) შემთხვევით დაღვრილი და დაფრქვეული პესტიციდის ლოკალიზაციის და უტილიზაციის ინსტრუქცია.

## მუხლი 6. გამოყენების რეგლამენტები

1. გამოყენების რეგლამენტში მოყვანილია:

- ა) განმასხვავებელი (სავაჭრო) სახელწოდება, რეგისტრანტი;
- ბ) მოქმედი ნივთიერება სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) მიხედვით, მიკროორგანიზმის სახეობრივი სახელწოდება, შტამის, იზოლატის სახელწოდება;
- გ) კონცენტრაცია (გ/ლ ან გ/კგ-ში); ცოცხალი უჯრედების ან მათი ცხოველმყოფელობის პროდუქტის ტიტრი, ვირუსული სხეულაკების, ჩანართების ტიტრი;
- დ) პრეპარატული ფორმა;
- ე) დანიშნულება, მოქმედების სპექტრი და მექანიზმი;
- ვ) სხვა პრეპარატებთან შეთავსებადობა;
- ზ) დაცვითი მოქმედების პერიოდი;
- თ) ზემოქმედების სიჩქარე;
- ი) ფიტოტოქსიკურობა;
- კ) რეზისტენტობის წარმოქმნის საშიშროება.

2. გამოყენების ტექნოლოგია:

- ა) სამუშაო ხსნარის დამზადების ტექნოლოგია, ხარჯვის ნორმა (ლ/ჰა, ლ/ტ), რეკომენდებული მანქანების მარკები;
- ბ) გამოყენების რეგლამენტი (ფორმდება ცალკე ცხრილის სახით).

## ცხრილი 1

კულტურა (კულტურათა ჯგუფი)	მავნე ორგანიზმი, ობიექტი (ზრდის რეგულატორებისა თვის)	პრეპარატის ხარჯვის ნორმა (ლ/ჰა, კგ/ჰა, ლ/ტ, კგ/ტ)	დამუშავების წესი, დრო, შეზღუდვები	დამუშავებათა ჯერადობა, ლოდინის პერიოდი (დღეებში)	დამუშავებულ უბნებში სამუშაოდ გასვლის დრო (დღეებში)

1	2	3	4	5	6
---	---	---	---	---	---

**მუხლი 7. პროდუქტის განმსაზღვრელები**

1. ეტიკეტი უნდა შეიცავდეს მონაცემებს, რომელიც ნივთიერების ან ნარევის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა (შემდგომში - „პროდუქტის განმსაზღვრელები“, და გამოყენებული ტერმინი უნდა იყოს იგივე, რაც გამოყენებულია უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელში.

2. პროდუქტის განმსაზღვრელი ნივთიერებისათვის უნდა შედგებოდეს სულ მცირე შემდეგი მონაცემებისგან:

ა) თუ ნივთიერება შეტანილია CLP რეგლამენტის (EC) N 1272/2008 მე-VI დანართის მე-3 ნაწილში, მასში მოცემული სახელწოდებისა და საიდენტიფიკაციო ნომერისგან;

ბ) თუ ნივთიერება გათვალისწინებული არ არის აღნიშნული დანართში, მაგრამ ასახულია კლასიფიკაციისა და მარკირების რეესტრში, სახელწოდებისა და საიდენტიფიკაციო ნომერისგან, როგორც მასშია მოცემული;

გ) თუ ნივთიერება შეტანილი არ არის ამ მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში მითითებულ დოკუმენტებში, CAS-ის მიერ მინიჭებული ნომერი (შემდგომში - „CAS ნომერი“), IUPAC-ის (შემდგომში - „IUPAC ნომენკლატურა“) მიერ წარმოდგენილ ნომენკლატურაში მითითებულ სახელწოდებასთან ერთად, ან CAS ნომერი სხვა საერთაშორისო ქიმიური ნივთიერების სახელწოდებასთან ერთად; ან

დ) თუ CAS ნომერი ხელმისაწვდომი არ არის, სახელწოდებისგან, რომელიც მითითებულია IUPAC ნომენკლატურაში ან სხვა საერთაშორისო ქიმიური ნივთიერებების სახელწოდებაში;

ე) როდესაც სახელწოდება IUPAC ნომენკლატურაში აღემატება 100 ასოს, შესაძლებელია გამოყენებული იქნას მითითებული ერთ-ერთი სხვა სახელწოდება (საერთო სახელწოდება, სავაჭრო სახელწოდება, აბრევიატურა).

3. პროდუქტის განმსაზღვრელი ნარევისთვის:

ა) შედგება სავაჭრო ნიშნისგან ან ნარევის დასახელებისგან;

ბ) უნდა მოხდეს ნარევი ყველა ნივთიერების განსაზღვრა, რომელიც მოქმედებს ნარევის

კლასიფიკაციაზე ისეთი მაჩვენებლების მიხედვით, როგორცაა მწვავე ტოქსიკურობა, კანის გაღიზიანება ან სერიოზული თვალის დაზიანება, სასქესო უჯრედის მუტაგენურობა, კანცეროგენულობა, რეპროდუქტიული ტოქსიკურობა, სასუნთქი ან კანის მგრძნობელობის მომატება, სპეციფიკური მინზობრივი ორგანოს ტოქსიკურობა (STOT) ან ასპირაციული პნევმონიის განვითარების საშიშროება. როდესაც, აღნიშნული მოთხოვნა იწვევს რამდენიმე ქიმიური სახელწოდების მითითების საჭიროებას, საკმარისი იქნება მაქსიმუმ ოთხი ქიმიური ნივთიერების სახელწოდება, თუ მეტი სახელწოდება არ იქნება საჭირო საშიშროებების ხასიათისა და სერიოზულობის ასახვისთვის.

გ) შერჩეული ქიმიური ნივთიერებების სახელწოდებები თავდაპირველად უნდა განსაზღვრავდეს იმ ნივთიერებებს, რომლებიც იწვევს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ძირითად საფრთხეებს, რამაც გამოიწვია კლასიფიკაცია და შესაბამისი საფრთხის განცხადების შერჩევა.

## **მუხლი 8. მოთხოვნა ალტერნატიული ქიმიური დასახელების გამოყენების შესახებ**

1. ნარევი არსებული ნივთიერების მწარმოებელს, იმპორტიორს ან შემდგომ მომხმარებელს შეუძლია მოთხოვნა წარუდგინოს სააგენტოს ალტერნატიული ქიმიური დასახელების გამოყენების თაობაზე, რომელიც ეხება ნარევი იმ ნივთიერებას, რომელიც განსაზღვრავს ყველაზე მნიშვნელოვან ფუნქციონალურ ქიმიურ ჯგუფებს, ან ალტერნატიული აღნიშვნის შესახებ, როდესაც მას შეუძლია დაასაბუთოს, რომ ეტიკეტზე ან აღნიშნული ნივთიერების ქიმიური თვისებების უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელში ასახული მონაცემები მისი საქმიანობის კონფიდენციალურობას, განსაკუთრებით კი მის ინტელექტუალური საკუთრებაზე უფლებებს, რისკის ქვეშ აყენებს.

2. სააგენტოს შეუძლია მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია მწარმოებლისგან, იმპორტიორისგან ან შემდგომი მომხმარებლისგან, თუ ამგვარი ინფორმაცია აუცილებელია გადაწყვეტილების მისაღებად. თუ სააგენტო გასცემს თანხმობას მოთხოვნიდან ან დამატებით მოთხოვნილი ინფორმაციის მიღებიდან 6 კვირაში, ალტერნატიული დასახელების გამოყენება ნებადართულად ჩაითვლება.

3. თუ ახალი ინფორმაცია გვიჩვენებს, რომ გამოყენებული ალტერნატიული ქიმიური დახელება არ იძლევა საკმარის ინფორმაციას ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესახებ საჭირო სიფრთხილის ზომებისთვის, რომლებიც მიღებული უნდა იყოს სამუშაო ტერიტორიაზე და იმის უზრუნველსაყოფად, რომ ნარევის გამოყენებისას არსებული

საშიშროება გაკონტროლდეს, სააგენტო განიხილავს მის გადაწყვეტილებას აღნიშნული ალტერნატიული ქიმიური დასახელების გამოყენების შესახებ. სააგენტომ შესაძლოა გააუქმოს გადაწყვეტილება ან შეცვალოს ის ისეთი გადაწყვეტილებით, რომელიც განსაზღვრავს თუ რომელი ალტერნატიული ქიმიური სახელწოდება შეიძლება იქნას გამოყენებული.

4. თუ ნივთიერების მიმწოდებელი წარმოადგენს შესაბამის დასაბუთებას, რომ ნარევეში არსებული ნივთიერების ქიმიური თვისების ჩვენება მისი საქმიანობის კონფიდენციალურობას რისკის ქვეშ აყენებს, მას შეუძლია გააგრძელოს შეთანხმებული ალტერნატიული დასახელების გამოყენება ამ წესის მიზნებისთვის.

### მუხლი 9. საშიშროების პიქტოგრამები

1. ეტიკეტი უნდა შეიცავდეს საშიშროების შესაბამის პიქტოგრამებს, რომლებიც განკუთვნილია განსახილველი საშიშროების შესახებ კონკრეტული ინფორმაციის გადაცემისთვის.

2. ზოგადი მოთხოვნები:

ა) საშიშროების პიქტოგრამები უნდა იყოს კვადრატის ფორმის;

ბ) საშიშროების მაუწყებელ პიქტოგრამებზე გამოსახული უნდა იყოს შავი სიმბოლო თეთრ ფონზე წითელი ჩარჩოთი, რომელიც საკმარისად ფართო და ხილვადი უნდა იყოს;

გ) საშიშროების მაუწყებელი თითოეული პიქტოგრამა უნდა მოიცავდეს ეტიკეტის მინიმალური ზედაპირის ადგილის ერთ/მეთხუთმეტედს. საშიშროების ამსახველი თითოეული პიქტოგრამის მინიმალური ადგილი უნდა იყოს არანაკლებ 1 სმ<sup>2</sup>.

დ) ეტიკეტების და პიქტოგრამების მინიმალური მასშტაბები უნდა შეესაბამებოდეს შეფუთვის მოცულობას:

შეფუთვის მოცულობა	ეტიკეტის ზომები (მილიმეტრებში)	თითოეული პიქტოგრამის ზომები (მილიმეტრებში)
----------------------	-----------------------------------	--



არ აღემატება 3 ლიტრს:	თუ შესაძლებელია, მინიმუმ 52 × 74	არა ნაკლებ 10× 10 თუ შესაძლებელია, მინიმუმ 16 × 16
3 ლიტრზე მეტი მაგრამ არა უმეტეს 50 ლიტრისა	მინიმუმ 74 × 105	მინიმუმ 23 × 23
50 ლიტრზე მეტი მაგრამ არა უმეტეს 500 ლიტრისა:	მინიმუმ 105 × 148	მინიმუმ 32 × 32
500 ლიტრზე მეტი:	მინიმუმ 148 × 210	მინიმუმ 46 × 46

### მუხლი 10. სასიგნალო სიტყვები

1. ეტიკეტი უნდა შეიცავდეს შესაბამის სასიგნალო სიტყვებს სახიფათო ნივთიერების ან ნარევის კლასიფიკაციის შესაბამისად.
2. სიტყვა „საშიშროება“ (danger) გამოიყენება თუ ნივთიერებებს ან ნარევებს აქვს საშიშროების უფრო მაღალი ხარისხი, ნაკლები ხარისხის საშიშროების შემთხვევაში გამოიყენება სიტყვა „გაფრთხილება“ (warning) .
3. იმ შემთხვევაში, თუ სასიგნალო სიტყვა „საშიშროება“ გამოიყენება ეტიკეტზე, სასიგნალო სიტყვა „გაფრთხილება“ აღარ უნდა მიეთითოს ეტიკეტზე.

### მუხლი 11. განცხადებები საშიშროების შესახებ და გამაფრთხილებელი განცხადებები

1. ეტიკეტი უნდა შეიცავდეს საშიშროების შესაბამის განცხადებას სახიფათო ნივთიერების ან ნარევის კლასიფიკაციის შესაბამისად.
2. თითოეული სპეციფიკური კლასიფიკაციის შესაბამისი საშიშროების შესახებ განცხადება გამოყენებული უნდა იქნას ეტიკეტზე, ნებისმიერი სხვა კლასიფიკაციისთვის საშიშროების შესახებ შესაბამის განცხადებებთან ერთად.
3. ეტიკეტი უნდა შეიცავდეს შესაბამის გამაფრთხილებელ განცხადებებს.
4. გამაფრთხილებელი განცხადებები უნდა შეირჩეს განსაზღვრული კრიტერიუმების

მიხედვით, საშიშროების შესახებ განცხადებების და ნივთიერების ან ნარევის განსაზღვრული გამოყენების გათვალისწინებით.

5. განცხადება საშიშროების შესახებ და შესაბამისი გამაფრთხილებელი განცხადება ეტიკეტზე უნდა განლაგდეს ერთად (მაგალითად: ხანძარსაშიშია. შეინახეთ სითბოს წყაროებისა და ღია ცეცხლისაგან მოშორებით).

6. თუ ნივთიერება ან ნარევი კლასიფიცირდება სახიფათოდ, განცხადებები გათვალისწინებული უნდა იყოს დამატებითი ინფორმაციის ნაწილში ეტიკეტზე.

7. ეტიკეტზე ან შეფუთვაზე წარმოდგენილი უნდა იყოს ტაქტილური გაფრთხილება საშიშროების შესახებ, რომელიც განკუთვნილია უსინათლოებისა ან დაქვეითებული მხედველობის მქონე ადამიანებისათვის. პროდუქტზე რომელიც მიეწოდება ფართო საზოგადოებას, ბრაილის შრიფტით აკრეფილი უნდა იყოს სიტყვა “პესტიციდი“. გარდა ამისა, ტაქტილური გაფრთხილება (ამობურცული დაშტრიხული სამკუთხედი, ან სამი აწეული წერტილი განლაგებული სამკუთხედში ISO-ს სტანდარტის შესაბამისად) აუცილებელია დატანილ იქნას განსაკუთრებით იმ პროდუქტებზე, რომლებიც კლასიფიცირებულია WHO-ს მირ საშიშროების კლასში 1a და 1b, ან GHC/CLP კლასიფიკაციის მიხედვით მიეკუთვნება მწვავე ტოქსიკურობის 1 ან 2 კატეგორიას.

**მუხლი 12. საშიშროების პიქტოგრამების, საშიშროების შესახებ განცხადებების და გამაფრთხილებელი განცხადებების პრიორიტეტული განთავსების პრინციპი**

1. ნივთიერების ან ნარევის ეტიკეტზე ერთზე მეტი საშიშროების პიქტოგრამის განთავსების შემთხვევაში, მათი რაოდენობის შესამცირებლად, გამოიყენება თანმიმდევრობის შემდეგი წესები:

ა) თუ ერთი საშიშროების აღსანიშნავად გამოიყენება საშიშროების პიქტოგრამა თავის ქალა და გადაჯვარედინებული ძვლები, ძახილის ნიშანი სხვა საშიშროების აღსანიშნავად არ გამოიყენება;

ბ) თუ გამოიყენება კოროზიის სიმბოლო, ძახილის ნიშანი არ უნდა გაჩნდეს იქ, სადაც ის გამოიყენება კანის ან თვალის გაღიზიანების აღსანიშნად;

გ) თუ რესპირატორული სენსიბილიზაციის აღსანიშნად გამოიყენება ჯანმრთელობისათვის საშიშროების სიმბოლო, ძახილის ნიშანი არ უნდა გაჩნდეს იქ, სადაც ის გამოიყენება კანის სენსიბილიზაციისათვის ან კანის ან თვალის გაღიზიანების

აღსანიშნად;

დ) როდესაც ნივთიერების ან ნარევის კლასიფიკაცია საჭიროებს ერთზე მეტ საშიშროების ამსახველ პიქტოგრამას საშიშროების იგივე კლასისთვის, ეტიკეტი უნდა შეიცავდეს თითოეული განსახილველი საშიშროების კლასისთვის ყველაზე სერიოზული საფრთხის კატეგორიის შესაბამისი საშიშროების ამსახველ პიქტოგრამას.

2. თუ ადამიანის ჯანრთელობისათვის საშიშროების აღსანიშნავად გამოიყენება სასიგნალო სიტყვა საშიში (Danger), სიტყვა ფრთხილად (Warning) არ გამოიყენება.

3. თუ ნივთიერება ან ნარევი კლასიფიცირდება საშიშროების რამდენიმე კლასში ან საშიშროების კლასის დიფერენციაში, საშიშროების ამსახველი ყველა სტანდარტული განცხადება უნდა აისახოს ეტიკეტზე, თუ ადგილი არ ექნება განმეორებას ან ინფორმაციის ზედმეტობას. პრიორიტეტული განთავსების პრინციპიდან გამომდინარე :

ა) თუ გამოყენებულია საშიშროების ფრაზა „კანზე და თვალზე მოხვედრისას იწვევს ქიმიურ დამწვრობას“, მაშინ ფრაზა „თვალში მოხვედრისას იწვევს შეუქცევად შედეგებს“, არ გამოიყენება;

ბ) თუ გამოყენებულია საშიშროების ფრაზა „ძლიერ ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის გრძელვადიანი შედეგებით“, მაშინ ფრაზა „ძლიერ ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის“, არ გამოიყენება;

გ) თუ გამოყენებულია საშიშროების ფრაზა „ტოქსიკური წყლის ორგანიზმებისათვის გრძელვადიანი შედეგებით“, ფრაზა „ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის, არ გამოიყენება;

დ) თუ გამოყენებულია საშიშროების ფრაზა „მავნეა წყლის ორგანიზმებისათვის გრძელვადიანი შედეგებით“, მაშინ ფრაზა „მავნეა წყლის ორგანიზმებისათვის“, არ გამოიყენება.

4. უსაფრთხო გამოყენების განცხადებებთან დაკავშირებით:

ა) როდესაც გამაფრთხილებელი განცხადებების შერჩევის შედეგად, ზოგიერთი გამაფრთხილებელი განცხადება ხდება ზედმეტი სპეციფიკური ნივთიერების, ნარევის ან შეფუთვის გათვალისწინებით, ამგვარი განცხადებები გამოტოვებული უნდა იყოს ეტიკეტზე;

ბ) როდესაც ნივთიერება ან ნარევი მიეწოდება ფართო საზოგადოებას, აღნიშნული ნივთიერების ან ნარევის გამოყენებასთან დაკავშირებული ერთი გამაფრთხილებელი

განცხადება ისევე, როგორც შეფუთვის გამოყენება, ასახული უნდა იყოს ეტიკეტზე;

გ) ყველა სხვა შემთხვევაში, გამოყენების შესახებ გამაფრთხილებელი განცხადება საჭირო არ იქნება, როდესაც ნათელია, რომ ნივთიერების ან ნარევის, ან შეფუთვის გამოყენება, არ წარმოადგენს საშიშროებას ადამიანის ჯანმრთელობის ან გარემოს მიმართ;

დ) ეტიკეტზე გამაფრთხილებელი განცხადებების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ექვსს, თუ აუცილებელი არ არის საფრთხეების ხასიათისა და სერიოზულობის ასახვა.

### **მუხლი 13. ეტიკეტების გამოყენების შესახებ ზოგადი წესები**

1. ეტიკეტები მყარად უნდა მიეკრას ნივთიერების ან ნარევის შემცველ შეფუთვას ერთ ან მეტ ადგილას და უნდა იკითხებოდეს ჰორიზონტალურად შეფუთვის სწორად დაყენების დროს.

2. ნებისმიერი ეტიკეტის ფერი და გამოსახულება ისეთი უნდა იყოს, რომ საშიშროების პიქტოგრამა ნათლად იყოს გამოსახული.

3. ეტიკეტის მარკირების ელემენტები მკაფიო და ჩამოურეცხავი უნდა იყოს. ისინი მკვეთრად უნდა იკვეთებოდეს ფონზე და იყოს ისეთი ზომისა და ისე განლაგებული, რომ იოლად იკითხებოდეს.

4. ეტიკეტი უნდა იყოს ფიზიკურად მდგრადი, მასალა და მოთავსებული მასზე ბეჭდვითი ინფორმაცია უნდა დარჩეს მედეგი პრეპარატის შენახვისას და პრეპარატის დამზადებიდან მის საბოლოო გამოყენებამდე მთელ პერიოდში.

5. იმ შემთხვევაში, თუ ნივთიერების ან ნარევის შეფუთვა ისეთი ფორმისაა ან იმდენად პატარა ზომისაა (როდესაც შემცველობა არ აღემატება 125 მლ-ს), რომ შეუძლებელია ქართულ ენაზე ეტიკეტთან დაკავშირებით მოთხოვნების დაკმაყოფილება, ეტიკეტის ელემენტები შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთ-ერთი შემდეგი გზით: შეკვეცილი ეტიკეტები, ან შემოხვეული ეტიკეტები; ან ეტიკეტები გარე შეფუთვაზე.

6. ეტიკეტი არ მოითხოვება, როცა ეტიკეტის ელემენტები გამოსახულია ნათლად თავად შეფუთვაზე.

7. მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ეტიკეტის განახლება დაყოვნების გარეშე, ნივთიერების ან ნარევის კლასიფიკაციის და მარკირების შეცვლის შემდეგ, როდესაც ახალი საფრთხე უფრო სერიოზულია ან როდესაც მოითხოვება ახალი დამატებითი მარკირების ელემენტები ცვლილების ხასიათის გათვალისწინებით, თუ ეს შეეხება ადამიანის

ჯანმრთელობასა და გარემოს დაცვას. სხვა შემთხვევაში, მომწოდებელმა ეტიკეტი უნდა გაანახლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

#### **მუხლი 14. ეტიკეტზე ინფორმაციის განთავსება**

1. საშიშროების შესახებ ინფორმაციის ჯგუფები (საშიშროების პიქტოგრამები, სასიგნალო სიტყვა, საშიშროების შესახებ ტექსტი) და გამაფრთხილებელი ინფორმაციის ჯგუფები ერთად უნდა განთავსდეს ეტიკეტზე.
2. მომწოდებელს შეუძლია თავად გადაწყვიტოს საშიშროების შესახებ ინფორმაციის თანმიმდევრობა. თუმცა, ყველა ინფორმაცია უნდა დაჯგუფდეს ეტიკეტზე ენის მიხედვით. ყოველ გამოყენებულ ენაზე წარმოდგენილი უნდა იყოს ეტიკეტის სრული ტექსტი. ეტიკეტი ქართულ ენაზე უნდა განთავსდეს შეფუთვაზე, ხოლო ეტიკეტი მეორე ენაზე შესაძლებელია თან მოყვეს შეფუთვის საინფორმაციო ფურცლის ან ბუკლეტის სახით.
3. დამატებითი ინფორმაცია უნდა განთავსდეს დამატებითი ინფორმაციის მონაკვეთში, ეტიკეტის სხვა ელემენტებთან ერთად.
4. საშიშროების პიქტოგრამებში გამოყენებული ფერი შეიძლება გამოყენებულ იქნას აგრეთვე ეტიკეტის სხვა ადგილებზე, რათა დაცული იქნას მარკირების სპეციალური მოთხოვნები.
5. საშიშროების აღმნიშვნელი შესაბამისი ფერის ზოლი პროდუქტის ტარაზე შეიძლება დაიბეჭდოს ეტიკეტის ქვედა ნაწილში (მაგალითად, წითელი ფერის ზოლი პერორალური, დერმალური, ინჰალაციური მწვავე ტოქსიკურობის აღსანიშნავად).
6. ინფორმაცია ეტიკეტზე გაყოფილია რამოდენიმე ნაწილად. როგორც წესი წარმოდგენილია შემდეგი ნაწილები: პროდუქტის იდენტიფიკაცია და გამოყენების სფერო; სასიგნალო სიტყვა, საშიშროების აღნიშვნა; უსაფრთხოების ზომები; გამოყენების ინსტრუქცია; შენახვა და უტილიზაცია; პირველი დახმარება და სამედიცინო კონსულტაცია; რეკომენდაცია პესტიციდის გაჟონვის ინციდენტის შემთხვევაში.
7. ჩამოთვლილი ინფორმაციის განთავსება ეტიკეტზე ხდება ორ ან უპირატესად სამ პანელზე, თუ ეტიკეტის ზომა იძლევა ამის საშუალებას. ეტიკეტი ერთ პანელზე გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა პროდუქტის გამოყენება შეზღუდულია, გამოყენების რეკომენდაცია, გაფრთხილებები და უსაფრთხოების ზომები და პირველი დახმარება მოითხოვენ მცირე დეტალიზაციას. დამხმარე პანელები შეიძლება დაიბეჭდოს ცალკე

ფურცელზე რომელიც მიმაგრებულია შეფუთვის ძირითად ეტიკეტზე.

## **მუხლი 15. მოთხოვნები შეფუთვის მიმართ**

1. შეფუთვა, რომელიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს ან ნარევეს უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) შეფუთვას ისეთი დიზაინი და ფორმა უნდა ჰქონდეს, რომ მისი შიგთავსი შენარჩუნდეს და არ მოხდეს მისი გარეთ გამოდინება;

ბ) შეფუთვის და სამაგრების შემადგენელი მასალები არ უნდა ექვემდებარებოდეს შიგთავსით დაზიანებას, ან არ უნდა ქმნიდეს სახიფათო ნაერთს შიგთავსთან;

გ) შეფუთვა და სამაგრები უნდა იყოს ძლიერი და მყარი, რათა არ მოეშვას და უსაფრთხოდ იტანდეს ტრანსპორტირებისას დაჭიმულობას და დაძაბვას;

დ) შეფუთვა, რომელიც აღჭურვილია შეცვლადი სამაგრი საშუალებებით, ისე უნდა შეიქმნას, რომ შესაძლებელი იყოს მათი მოხსნა შიგთავსის გამოჭონვის გარეშე.

2. შეფუთვა, რომელიც შეიცავს ფართო საზოგადოებისთვის მიწოდებულ სახიფათო ნივთიერებას ან ნარევეს არ უნდა იყოს ისეთი ფორმის ან დიზაინის, რომელიც მიმზიდველი ან საყურადღებო იქნება ბავშვებისთვის ან შეცდომაში შეიყვანს მომხმარებელს, ასევე არ უნდა ჰქონდეს კვების პროდუქტებისათვის/ცხოველთა საკვებისათვის ან სამედიცინო ან კოსმეტიკურ პროდუქტებისათვის გამოყენებული მსგავსი გამოსახულება ან/და მითითება ან დიზაინი, რაც შეცდომაში შეიყვანს მომხმარებლებს.

3. თუ შეფუთვა შეიცავს ნივთიერებას ან ნარევეს, რომლებიც კლასიფიცირდება მწვავე ტოქსიკურობით, კატეგორიები 1 - 3, STOT - ერთჯერადი ზემოქმედების კატეგორია 1, STOT - განმეორებითი ზემოქმედების კატეგორია 1, ან კანის კოროზიის კატეგორია 1, წარმოადგენს ასპირაციის საშიშროებას, მას უნდა ჰქონდეს ბავშვისთვის ძნელად მოსახსნელი სამაგრები.

4. ბავშვებისთვის რთულად მოსახსნელი სამაგრები, რომლებიც გამოიყენება ხელმეორედ დალუქვად შეფუთვებში უნდა შეესაბამებოდეს EN ISO სტანდარტს 8317, მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, "ბავშვებისთვის რთულად გასახსნელი შეფუთვები - ხელმეორედ დახურვადი შეფუთვების ტესტირების მოთხოვნები და მეთოდები" დამტკიცებული ევროპის სტანდარტიზაციის კომიტეტის (CEN) და სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) მიერ.

5. ბავშვებისთვის რთულად მოსახსნელი სამაგრები, რომლებიც გამოიყენება ხელმეორედ არადალუქვად შეფუთვებში უნდა შეესაბამებოდეს SEN სტანდარტს EN862, მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, "შეფუთვა - ბავშვებისთვის რთულად გასახსნელი შეფუთვები — ხელმეორედ არადახურვადი შეფუთვების ტესტირების მოთხოვნები და მეთოდები არაფარმაცევტულ პროდუქტებთან დაკავშირებით" დამტკიცებული ევროპის სტანდარტიზაციის კომიტეტის (CEN) მიერ.

6. როდესაც შეფუთვა შეიცავს ისეთ ნივთიერებას ან ნარევს, რომლის მიწოდება ხდება ფართო საზოგადოებისთვის და კლასიფიცირდება მწვავე ტოქსიკურობაზე, კანის კოროზიულობასა, სასქესო უჯრედის მუტაგენურობაზე კატეგორია 2, კარცენოგენულობაზე კატეგორია 2, რეპროდუქციულ ტოქსიკურობაზე, კატეგორია 2, რესპირატორულ სენსიტიზაციაზე, ან Stot-ზე, კატეგორიები 1 და 2, ასპირაციული საშიშროებები, ან აალებადი აირები, სითხეები და მყარი ნივთიერებები კატეგორიებში 1 და 2, მას უნდა ჰქონდეს საშიშროების ტაქტილური გაფრთხილება საშიშროების შესახებ.

7. ჩაითვლება, რომ ნივთიერებების ან ნარევების შეფუთვა აკმაყოფილებს მოთხოვნებს, თუ იგი შეესაბამება სახიფათო საქონლის საჭაერო, საზღვაო, სახმელეთო, სარკინიგზო ან შიდა წყლებით ტრანსპორტირების წესების მოთხოვნებს (UN RTDG).

## **მუხლი 16. გამონაკლისი შეფუთვის მოთხოვნებიდან**

1. შეფუთვების მარკირებისას, საშიშროების შესახებ ინფორმაცია და გამაფრთხილებელი ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ქვემოთ ჩამოთვლილ საშიშროების კატეგორიებთან შეიძლება გამოტოვებული იყოს როდესაც:

ა) შეფუთვის შემცველობა არ აღემატება 125 მლ-ს;

ბ) ნივთიერება ან ნარევი GHC/CLP-ის შესაბამისად კლასიფიცირდება ერთ ან მეტ შემდეგ საშიშროების კატეგორიად:

ბ.ა) მე-4 კატეგორიის მწვავე ტოქსიკურობა, თუ ნივთიერებები ან ნარევები არ მიეწოდება ფართო საზოგადოებას;

ბ.ბ) მე-2 კატეგორიის კანის გაღიზიანება;

ბ.გ) მე-2 კატეგორიის თვალის გაღიზიანება;

ბ.დ) სპეციფიკური მიზნობრივი ორგანოს ტოქსიკურობა - მე-2 ან მე-3 კატეგორიის ერთჯერადი ზემოქმედება, თუ ნივთიერებები ან ნარევები არ მიეწოდება ფართო

საზოგადოებას;

ბ.ე) სპეციფიკური მიზნობრივი ორგანოს ტოქსიკურობა - მე-2 კატეგორიის განმეორებითი ზემოქმედება, თუ ნივთიერებები ან ნარევეები არ მიეწოდება ფართო საზოგადოებას;

ბ.ვ) სახიფათო წყლის გარემოსთვის - პირველი კატეგორიის მწვავე;

ბ.ზ) სახიფათო წყლის გარემოსთვის - პირველი ან მე-2 კატეგორიის ქრონიკული.

2. გამაფრთხილებელი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება ქვემოთ ჩამოთვლილი საშიშროების კატეგორიებს შეიძლება გამოტოვებული იქნას, როდესაც:

ა) შეფუთვის შემცველობა არ აღემატება 125 მლ-ს;

ბ) ნივთიერება ან ნარევი GHC/CLP-ის შესაბამისად კლასიფიცირდება ერთ ან მეტ შემდეგ საშიშროების კატეგორიად:

ბ.ა) რეპროდუქციული ტოქსიკურობა: ზემოქმედებას ახდენს ლაქტაციაზე ან ლაქტაციით;

ბ.ბ) საშიშია წყლის გარემოსთვის - ქრონიკული, კატეგორია 3 ან 4.

3. პიქტოგრამა, სასიგნალო სიტყვა, საშიშროების შესახებ ინფორმაცია და გამაფრთხილებელი ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ქვემოთ ჩამოთვლილი საშიშროების კატეგორიებთან შესაძლოა გამოტოვებული იქნას როდესაც:

ა) შეფუთვის შემცველობა არ აღემატება 125 მლ-ს;

ბ) ნივთიერება ან ნარევი კლასიფიცირდება ერთ ან მეტ შემდეგ საშიშროების კატეგორიად:

ბ.ა) კოროზიული ლითონების მიმართ.

4. ერთჯერადი მოხმარებისთვის განკუთვნილი ხსნადი პაკეტების (რომელთა შემცველობა არ აღემატება 25 მლ-ს) ეტიკეტის ელემენტები არ შეიძლება გამოტოვებული იქნას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნივთიერებებსა ან ნარევეების შეფუთვაზე.

5. მინიმალური ინფორმაცია დაიტანება პაკეტის გარე შეფუთვაზე (ჩანთაზე) და შეიცავს: პროდუქტის დასახელებას, ტიპს, სარეგისტრაციო ნომერს, მოქმედ ნივთიერების დასახელებას, საშიშროების სიმბოლოს და სასიგნალო სიტყვას, გაფრთხილებებს - „არ შეეხოთ სველი ხელებით ან ხელთათმანებით“, „გამოიყენეთ დაუყოვნებლივ“, „გამოყენამდე წაიკითხეთ სრული ეტიკეტი“, „მოათავსეთ ჩანთა პირდაპირ შემასხურებელ ავზში“.

6. ორმაგი/მულტიშეფუთვის ეტიკეტზე (როცა ორი ან მეტი პროდუქტი შეფუთულია



ცალცალკე და იყიდება როგორც ერთი პროდუქტი ერთ შეფუთვაში) დამატებითი მარკირება არ არის საჭირო. გარე კონტეინერი უნდა იყოს მარკირებული ამ წესის შესაბამისად, ხოლო ყოველი პროდუქტის შიდა შეფუთვა სრულად მარკირებული თუ არსებობს ამის შესაძლებლობა, ან მასზე დატანილი უნდა იყოს მცირე ზომის შეფუთვისათვის აუცილებელი ინფორმაცია. ყოველ პროდუქტზე უნდა მიეთითოს მოქმედი ნივთიერება და მისი შემცველობა, საშიში კო-ფორმულიანტები, საშიშროების სიმბოლო; გამოყენების ინსტრუქცია, უსაფრთხოების ზომები, სხვა საინდენტიფიკაციო ინფორმაცია პროდუქტის შესახებ გამოიყენება ყველა კომპონენტისათვის.

7. იმ საშიში პრეპარატების შეფუთვის დაშვება, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც საზიანო, განსაკუთრებით აალებადი, მაღალ აალებადი, აალებადი, გამაღიზიანებელი ან დამჟანგავი არ უნდა იყოს ეტიკეტირებული სხვა ფორმით, თუ ისინი მოიცავენ იმდენად მცირე რაოდენობას, რომ არ არსებობს საშიშროების რაიმე მიზეზი იმ პირებისათვის, რომელსაც შეხება აქვს ასეთ პრეპარატებთან ან სხვა პირებისათვის, ან არ არსებობს საშიშროების რაიმე მიზეზი გარემოსთვის.

## **მუხლი 17. გარე შეფუთვის, შიდა შეფუთვის და ცალკეული შეფუთვის მარკირების სპეციფიკური წესები**

1. როდესაც შეფუთვა შედგება შიდა და გარე შეფუთვისგან, ნებისმიერი შუალედური შეფუთვით, და გარე შეფუთვა შეესაბამება სახიფათო ტვირთის ტრანსპორტირების შესახებ წესების (UN RTDG) მიხედვით მარკირების დებულებებს, შიდა და ნებისმიერი შუალედური შეფუთვა მარკირებული უნდა იყოს ამ წესის შესაბამისად. თუ ამ წესის შესაბამისად მოთხოვნილი საშიშროების პიქტოგრამები უკავშირდება იგივე საშიშროებას, რაც სახიფათო ტვირთის ტრანსპორტირების წესებშია განსაზღვრული, ისინი არ უნდა აისახოს გარე შეფუთვაზე.

2. როდესაც დაშვებულია, რომ შეფუთვის გარე ნაწილი არ შეესაბამებოდეს მარკირების დებულებებს სახიფათო ტვირთის ტრანსპორტირების შესახებ წესების მიხედვით, როგორც შიდა, ისე გარე შეფუთვა, ნებისმიერი შუალედური შეფუთვის ჩათვლით, მარკირებული უნდა იყოს ამ წესის შესაბამისად. თუმცა, თუ გარე შეფუთვა საშუალებას იძლევა, რომ შიდა ან შუალედური შეფუთვის მარკირება გარკვევით ხილვადი იყოს, შესაძლებელია გარე შეფუთვა საერთოდ არ იყოს მარკირებული.

3. ცალკეული შეფუთვა, რომელიც აკმაყოფილებს მარკირების დებულებებს სახიფათო

ტვირთის ტრანსპორტირების შესახებ წესების მიხედვით, მარკირებული უნდა იქნას ამ წესის და სახიფათო ტვირთის ტრანსპორტირების შესახებ წესების შესაბამისად. თუ ამ წესით მოთხოვნილი საშიშროების პიქტოგრამები დაკავშირებულია იგივე საფრთხესთან, რაც სახიფათო ტვირთის ტრანსპორტირების წესებშია, შეფუთვაზე გამოსახული უნდა იქნას ამ წესით მოთხოვნილი საშიშროების პიქტოგრამები.

დანართი №1

**ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობისთვის ან  
გარემოსთვის განსაკუთრებულ რისკებთან დაკავშირებული  
სტანდარტული ფრაზები**

ქვემოთ მითითებული დამატებითი სტანდარტული ფრაზები გამოყენებული უნდა იქნას პესტიციდებისთვის, რომლებიც ასევე, მოიცავენ მიკროორგანიზმებს, მათ შორის ვირუსებს, მოქმედი ნივთიერებების სახით. მიკროორგანიზმების, მათ შორის ვირუსების შემცველი პროდუქტების მარკირება მოქმედი ნივთიერებების სახით, ასევე უნდა ასახავდეს დებულებებს დერმალური და რესპირატორული სენსიბილიზაციის ტესტირების შესახებ, რომელიც განსაზღვრულია „ტექნიკური რეგლამენტის - „საქართველოში პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეგისტრაციო გამოცდების, ექსპერტიზისა და რეგისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ““ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №443 დადგენილებით.

**მუხლი 1. სტანდარტული ფრაზები განსაკუთრებულ რისკებთან დაკავშირებით**

1. ადამიანებთან დაკავშირებული განსაკუთრებული რისკები (RSh)

ა) **RSh 1**

GEO: ტოქსიკურია თვალთან შეხებისას.

EN: Toxic by eye contact.

ბ) **RSh 2**

GEO: შესაძლოა გამოიწვიოს ფოტოსენსიბილიზაცია.

EN: May cause photosensitisation

გ) **RSh 3**

GEO:კონტაქტი ორთქლთან იწვევს კანის და თვალების დამწვრობას და კონტაქტი სითხესთან იწვევს მოყინვას.

EN: Contact with vapour causes burns to skin and eyes and contact with liquid causes freezing.

2. გარემოსთან დაკავშირებული განსაკუთრებული რისკები (RSe) არ არის.

**მუხლი 2. განსაკუთრებული რისკების სტანდარტული ფრაზების განსაზღვრული კრიტერიუმები**

1. ადამიანებთან დაკავშირებული სტანდარტული ფრაზების განსაზღვრული კრიტერიუმები

ა) **RSh 1**

„ტოქსიკურია თვალთან შეხებისას“ - აღნიშნული ფრაზა მითითებული უნდა იქნას იმ შემთხვევაში, თუ თვალის გაღიზიანებაზე ჩატარებული ტესტის შედეგები ასახავს სისტემური ტოქსიკურობის აშკარა ნიშნებს (მაგალითად, ქოლინესტერაზას ინჰიბიცია) ან ტესტირებული ცხოველების სიკვდილიანობას, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს მოქმედი ნივთიერების აბსორბციასთან თვალის ლორწოვანი გარსის მეშვეობით. რისკის ფრაზა ასევე გამოყენებული უნდა იქნას იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ადამიანებში სისტემატური ტოქსიკურობის ნიშნები თვალთან კონტაქტის შემდეგ. აღნიშნულ შემთხვევებში, უნდა მიეთითოს თვალის დაცვის საშუალებები დანართი №2 - ის შესაბამისად.

**ბ) RSh 2**

„შესაძლოა გამოიწვიოს ფოტოსენსიბილიზაცია“ - აღნიშნული ფრაზა მითითებული უნდა იქნას იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მკაფიო მტკიცებულება ცდის ან სამეცნიერო-კვლევითი სისტემებიდან ან დოკუმენტურად დასაბუთებული ზემოქმედება ადამიანზე, რომ პროდუქტი ამჟღავნებს ფოტოსენსიბილიზაციის ეფექტებს. აღნიშნული ფრაზა ასევე გამოყენებული უნდა იქნას პროდუქტებზე, რომელიც მოიცავს მოცემულ მოქმედ ნივთიერებას ან რეცეპტურის ინგრედიენტს, რომელიც ასახავს ფოტოსენსიბილიზაციის ეფექტებს ადამიანებში იმ შემთხვევაში, თუ პროდუქტი მოიცავს ასეთ ფოტოსენსიბილიზაციის კომპონენტს 1% (w/w) ან მეტი კონცენტრაციით. ასეთ შემთხვევებში, უნდა მიეთითოს ინდივიდუალური დაცვის ზომები, როგორც განსაზღვრულია დანართი №2-ში.

**გ) RSh 3**

„ორთქლთან კონტაქტი იწვევს კანის და თვალის დამწვრობას და კონტაქტი სითხესთან იწვევს მოყინვას“ - აღნიშნული ფრაზა უნდა მიენიჭოს პესტიციდებს, რომლებიც ფორმულირებულია როგორც თხევადი გაზი, საჭიროების შემთხვევაში (მაგალითად, მეთილ ბრომიდის პრეპარატები). ასეთ შემთხვევებში, უნდა მიეთითოს ინდივიდუალური დაცვის ზომები, როგორც განსაზღვრულია დანართი №2-ში, აღნიშნული ფრაზა არ უნდა იქნას გამოყენებული იმ შემთხვევებში, როდესაც გამოიყენება კოროზიასთან დაკავშირებული რისკის ფრაზები.

დ) გარემოსთან დაკავშირებული სტანდარტული ფრაზების განსაზღვრული კრიტერიუმები არ არის.

**ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობასთან ან გარემოს დაცვასთან  
დაკავშირებული უსაფრთხოების ზომებისთვის განსაზღვრული სტანდარტული  
ფრაზები**

ქვემოთ მითითებული დამატებითი სტანდარტული ფრაზები გამოყენებული უნდა იქნას პესტიციდებისთვის, რომლებიც ასევე, მოიცავენ მიკროორგანიზმებს, მათ შორის ვირუსებს, მოქმედი ნივთიერების სახით. მიკროორგანიზმების, მათ შორის ვირუსების შემცველი პროდუქტების მარკირება, მოქმედი ნივთიერებების სახით, ასევე უნდა ასახავდეს დებულებებს დერმალური და რესპირატორული სენსიბილიზაციის ტესტირების შესახებ, რომელიც განსაზღვრულია „ტექნიკური რეგლამენტის - „საქართველოში პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეგისტრაციო გამოცდების, ექსპერტიზისა და რეგისტრაციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №443 დადგენილებით.

### **მუხლი 1. საერთო დებულებები**

ყველა პესტიციდი მარკირებული უნდა იყოს შემდეგი ფრაზით, რომელსაც შესაბამის შემთხვევებში, ფრჩხილებში, დაემატება ტექსტი:

#### ***SP 1***

GEO: არ დააბინძუროთ წყალი პროდუქტით ან მისი კონტეინერით (არ გაწმინდოთ გამოყენებული მოწყობილობა ზედაპირული წყლის სიახლოვეს / თავიდან აიცილეთ დაბინძურება სადრენაჟე სისტემებით ფერმებიდან და გზებიდან).

EN: Do not contaminate water with the product or its container (Do not clean application equipment near surface water/Avoid contamination via drains from farmyards and roads).

### **მუხლი 2. სპეციალური უსაფრთხოების ზომები**

1. უსაფრთხოების ზომები ოპერატორებისთვის (SPo):

#### **ა) *SPo 1***

GEO: კანთან კონტაქტისას, თავდაპირველად მოცილეთ პროდუქტი მშრალი ნაჭრით და შემდეგ ჩამოიბანეთ კანი გამდინარე წყლით.

EN: After contact with skin, first remove product with a dry cloth and then wash the skin with

plenty of water.

ბ) **SPo 2**

GEO: გარეცხეთ ყველა დამცავი ტანსაცმელი გამოყენების შემდეგ.

EN: Wash all protective clothing after use.

გ) **SPo 3**

GEO: პროდუქტის წვის შემდეგ, არ შეისუნთქოთ კვამლი და დაუყოვნებლივ დატოვეთ დამუშავებული ტერიტორია.

EN: After igniting the product, do not inhale smoke and leave the treated area immediately.

დ) **SPo4**

GEO: კონტეინერი უნდა გაიხსნას გარეთ და მშრალ პირობებში.

EN: The container must be opened outdoors and in dry conditions.

ე) **SPo 5**

GEO: გაანიავეთ დამუშავებული ფართობები/ სათბურები საფუძვლიანად/დრო უნდა განისაზღვოს შესხურებული ხსნარის გაშრობიდან განმეორებით შეტანამდე.

EN: Ventilate treated areas/greenhouses thoroughly/time to be specified/until spray has dried before re-entry

2. უსაფრთხოების წინასწარი ზომები გარემოსთან დაკავშირებით (SPe):

ა) **SPe 1**

GEO: გრუნტის წყლების / ნიადაგის ორგანიზმების დასაცავად, არ გამოიყენოთ აღნიშნული ან ნებისმიერი სხვა პროდუქტი, რომელიც შეიცავს (განსაზღვრეთ მოქმედი ნივთიერება ან ნივთიერებების კლასი, შემთხვევის გათვალისწინებით) მეტად ვიდრე (დროის პერიოდი ან სიხშირე, რომელიც უნდა განისაზღვროს).

EN: To protect groundwater/soil organisms do not apply this or any other product containing (identify active substance or class of substances, as appropriate) more than (time period or frequency to be specified).

ბ) **SPe 2**

GEO: გრუნტის წყლების / წყლის ორგანიზმების დასაცავად არ გამოიყენოთ (ნიადაგის ტიპი ან სიტუაცია, რომელიც უნდა განისაზღვროს) ნიადაგებში.

EN: To protect groundwater/aquatic organisms do not apply to (soil type or situation to be specified) soils.

გ) **SPe 3**

GEO: წყლის ორგანიზმების / არასამიზნე მცენარეების / არასამიზნე ფეხსახსრიანების /

მწერების დასაცავად გამოიყენეთ შესხურების გარეშე ბუფერული ზონები (მანძილი უნდა განისაზღვროს) არასასოფლო-სამეურნეო მიწებზე / მიწისზედა წყლებზე.

EN: To protect aquatic organisms/non-target plants/non-target arthropods/insects respect an unsprayed buffer zone of (distance to be specified) to non-agricultural land/surface water bodies.

დ) **SPe 4**

GEO: წყლის ორგანიზმების / არასამიზნე მცენარეების დასაცავად არ გამოიყენოთ გაუმტარ ზედაპირებზე, როგორცაა ასფალტი, ბეტონი, რიყის ქვები, რკინიგზის ლიანდაგები და სხვა სიტუაციები, სადაც არსებობს გადმოღვრის მაღალი რისკი.

EN: To protect aquatic organisms/non-target plants do not apply on impermeable surfaces such as asphalt, concrete, cobblestones, railway tracks and other situations with a high risk of run-off

ე) **SPe 5**

GEO: ფრინველების / გარეული ძუძუმწოვრების დასაცავად პროდუქტი მთლიანად უნდა იქნას შეტანილი ნიადაგში; იმის გარანტიით, რომ აღნიშნული პროდუქტი ასევე სრულად არის შეტანილი რიგების ბოლოს.

EN: To protect birds/wild mammals the product must be entirely incorporated in the soil; ensure that the product is also fully incorporated at the end of rows.

ვ) **SPe 6**

GEO: ფრინველების / გარეული ძუძუმწოვრების დასაცავად, მოაცილეთ გამონაჟონი.

EN: To protect birds/wild mammals remove spillages

ზ) **SPe 7**

GEO: არ გამოიყენოთ ფრინველების გამრავლების პერიოდში.

EN: Do not apply during the bird breeding period.

თ) **SPe 8**

GEO: საშიშია ფუტკრებისთვის./ფუტკრების და სხვა დამმტვერავი მწერების დასაცავად არ გამოიყენოთ მარცვლეულ კულტურებზე ყვავილობის დროს. არ გამოიყენოთ ფუტკრების აქტიური გამოკვების დროს. მთავრად ან დახურულ სკები დამუშავების დროს და (დადგენილ დროს) დამუშავების შემდეგ. არ გამოიყენოთ სარეველების ყვავილობის დროს./ მოაცილეთ სარეველები ყვავილობამდე. /არ გამოიყენოთ წინასწარ ვადამდე (მიუთითეთ დრო).

EN: Dangerous to bees./To protect bees and other pollinating insects do not apply to crop plants when in flower./Do not use where bees are actively foraging./Remove or cover beehives during application and for (state time) after treatment./ Do not apply when flowering weeds are present. /

Remove weeds before flowering./Do not apply before (state time).

3. უსაფრთხოების წინასწარი ზომები კარგ სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკასთან დაკავშირებით:

***SPa 1***

GEO: რეზისტენტობის თავიდან ასაცილებლად, არ გამოიყენოთ აღნიშნული ან ნებისმიერი სხვა (განსაზღვრეთ მოქმედი ნივთიერება ან ნივთიერებების კლასი) შემცველი პროდუქტი, მეტად (გამოყენების რაოდენობა ან ვადა, რომელიც უნდა განისაზღვროს).

EN: To avoid the build-up of resistance do not apply this or any other product containing identify active substance or class of substances, as appropriate) more than (number of applications or time period to be specified).

4. კონკრეტული უსაფრთხოების ზომები როდენტიციდებთან დაკავშირებით (SPr):

ა) ***SPr 1***

GEO: მისატყუარები უნდა იყოს სათანადოდ განთავსებული იმგვარად, რომ მინიმუმამდე შემცირდეს სხვა ცხოველების მიერ გამოყენების რისკი. მისატყუარის საცობი უნდა დამაგრდეს იმგვარად, რომ შეუძლებელი იყოს მათი გათრევა მღრღნელების მიერ.

EN: The baits must be securely deposited in a way so as to minimise the risk of consumption by other animals. Secure bait blocks so that they cannot be dragged away by rodents.

ბ) ***SPr 2***

GEO: დამუშავების ზონა მონიშნული უნდა იყოს დამუშავების პერიოდის განმავლობაში. უნდა აღინიშნოს მოწამვლის საფრთხე (პირველადი ან მეორადი) და მის საწინააღმდეგოდ გამოსაყენებელი ანტიკოაგულანტები და ანტიდოტები.

EN: Treatment area must be marked during the treatment period. The danger from being poisoned (primary or secondary) by the anticoagulant and the antidote against it should be mentioned.

გ) ***SPr 3***

GEO: ყოველდღიური დამუშავებისას, მკვდარი მღრღნელები მოცილებული უნდა იქნას დამუშავებული ზონებიდან. არ განათავსოთ ნაგვის ყუთებში ან ნაგავსაყრელებზე.

EN: Dead rodents must be removed from the treatment area each day during treatment.

Do not place in refuse bins or on rubbish tips.

მუხლი 3. კონკრეტულ უსაფრთხოების ზომებთან დაკავშირებული სტანდარტული



## ფრაზების განსაზღვრული კრიტერიუმები

1. ზოგადად, პესტიციდი რეგისტრირდება მხოლოდ განსაზღვრული გამოყენებისთვის, რომელიც მისაღებია პესტიციდის შეფასების საფუძველზე ერთიანი პრინციპების გათვალისწინებით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. შესაძლებლობების ფარგლებში, კონკრეტული უსაფრთხოების ზომები უნდა ასახავდეს ასეთი შეფასებების შედეგებს ერთიანი პრინციპების გათვალისწინებით და გამოყენებულ უნდა იქნას კონკრეტულად იმ შემთხვევებში, სადაც რისკის შერბილების ზომები საჭიროა არასასურველი ეფექტების პრევენციისთვის.

2. ოპერატორებისთვის უსაფრთხოების ზომებთან დაკავშირებული სტანდარტული ფრაზების დადგენილი კრიტერიუმები:

### ა) *SPo 1*

„კანთან კონტაქტის შემდეგ თავდაპირველად მოცილეთ პროდუქტი მშრალი ნაჭრით და შემდეგ ჩამოიბანეთ კანი გამდინარე წყლით“ - აღნიშნული ფრაზა უნდა მიენიჭოს პესტიციდებს, რომლებიც შეიცავენ ისეთ ინგრედიენტებს, რომლებიც შესაძლოა ძლიერ რეაქციაში შევიდეს წყალთან, როგორცაა ციანიდის მარილები ან ალუმინის ფოსფიდი.

### ბ) *SPo 2*

„გარეცხეთ ყველა დამცავი ტანსაცმელი გამოყენების შემდეგ“ - აღნიშნული ფრაზა რეკომენდებულია მაშინ, როდესაც დამცავი ტანსაცმელი საჭიროა ოპერატორების დასაცავად. სავალდებულოა, ყველა პესტიციდისთვის, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც T ან T+.

### გ) *SPo 3*

„პროდუქტის წვის შემდეგ, არ შეისუნთქოთ კვამლი და დაუყოვნებლივ დატოვეთ დამუშავებული ტერიტორია“ - აღნიშნული ფრაზა შეიძლება მიენიჭოს ფუმიგაციისთვის გამოყენებულ პესტიციდებს იმ შემთხვევებში, როდესაც რესპირატორული ნიღაბი არ არის გამართლებული.

### დ) *SPo 4*

„კონტეინერი უნდა გაიხსნას გარეთ და მშრალ პირობებში“ - აღნიშნული ფრაზა უნდა მიენიჭოს პესტიციდებს, რომლებიც შეიცავენ ისეთ ინგრედიენტებს, რომლებიც შესაძლოა ძლიერ რეაქციაში შევიდეს წყალთან ან ტენიან ჰაერთან, როგორცაა ალუმინის ფოსფიდი ან რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს თვითაალება, როგორცაა ალკილენები (alkylenebis-) დიტიოკარბამატები. აღნიშნული ფრაზა შესაძლოა მიენიჭოს აქროლად პროდუქტებს, რომლებიც კლასიფიცირებულია R20, 23 ან 26-ით. ინდივიდუალურ შემთხვევებში,

გამოყენებულ უნდა იქნას ექსპერტის დასკვნა, იმისათვის რომ შეფასდეს პრეპარატის თვისებებს ან შეფუთვას შეუძლია თუ არა გამოიწვევს ზიანი ოპერატორისთვის.

ე) **SPo 5**

„განმეორებით შეტანამდე კარგად გაანიავეთ დამუშავებული ზონები/ სათბურები/უნდა მიეთითოს დრო/სანამ შესხურებული სითხე არ გაშრება“ - აღნიშნული ფრაზა შესაძლოა მიენიჭოსპესტიციდს, რომელიც გამოიყენება სათბურებში ან სხვა დახურულ სივრცეებში, როგორცაა სავაჭრო პუნქტები.

3. გარემოსთან დაკავშირებული უსაფრთხოების ზომების სტანდარტული ფრაზების დადგენილი კრიტერიუმები:

ა) **SPe 1**

„გრუნტის წყლების / ნიადაგის ორგანიზმების დასაცავად, არ გამოიყენოთ აღნიშნული ან ნებისმიერი სხვა პროდუქტი, რომელიც შეიცავს (განსაზღვრეთ მოქმედი ნივთიერებები ან ნივთიერებების კლასი) (ვადაზე ან სიხშირეზე მეტად, რომელიც უნდა განისაზღვროს) - აღნიშნული ფრაზა უნდა მიენიჭოს პესტიციდებს, რომელთა შეფასება ერთიანი პრინციპების გათვალისწინებით ასახავს ერთი ან მეტი მარკირებული გამოყენებისას, რომ რისკის შერბილების ზომები აუცილებელია ნიადაგში დაგროვების, ჭიაყელებზე ან სხვა ნიადაგის ორგანიზმებზე ან ნიადაგის მიკროფლორაზე ზემოქმედებების და/ან გრუნტის წყლების დაბინძურების თავიდან ასაცილებლად,

ბ) **SPe 2**

„გრუნტის წყლების დასაცავად / ეფექტები წყლის ორგანიზმებზე, არ გამოიყენოთ (ნიადაგის ტიპი ან გარემოება, რომელიც უნდა განისაზღვროს) ნიადაგში“ -აღნიშნული ფრაზა შეიძლება მიენიჭოს როგორც რისკის შემარბილებელი ზომები გრუნტის წყლების ან მიწისზედა წყლების ნებისმიერი პოტენციური დაბინძურების თავიდან ასაცილებლად მოწყვლად პირობებში (მაგალითად, ასოცირებული ნიადაგის ტიპთან, ტოპოგრაფიასთან ან დრენირებული ნიადაგებისთვის) იმ შემთხვევაში, თუ შეფასება ერთიანი პრინციპების შესაბამისად ასახავს, რომ ერთი ან მეტი მარკირებული გამოყენებისთვის რისკის შერბილების ზომები აუცილებელია მიუღებელი ეფექტების თავიდან ასაცილებლად.

გ) **SPe 3**

„წყლის ორგანიზმების / არასამიზნე მცენარეების / არასამიზნე ფეხსახსრიანების / მწერების დასაცავად გამოიყენეთ ბუფერული ზონები, სადაც არ მოხდა შესხურება (მანძილი უნდა განისაზღვროს) არასასოფლო-სამეურნეო მიწებზე / მიწისზედა წყლებზე“ -აღნიშნული ფრაზა უნდა მიენიჭოს არასამიზნე მცენარეების, არასამიზნე ფეხსახსრიანების და/ან წყლის

ორგანიზმების დასაცავად, იმ შემთხვევაში, თუ შეფასება ერთიანი პრინციპების შესაბამისად, ასახავს რომ ერთი ან მეტი მარკირებული გამოყენებისთვის რისკის შერბილების ზომები აუცილებელია მიუღებელი ეფექტების თავიდან ასაცილებლად.

დ) **SPe 4**

„წყლის ორგანიზმების / არასამიზნე მცენარეების დასაცავად არ გამოიყენოთ გაუმტარ ზედაპირებზე, როგორცაა ასფალტი, ბეტონი, რიყის ქვები, რკინიგზის ლიანდაგები და სხვა სიტუაციები, სადაც არსებობს გადმოდგომის მაღალი რისკი“ - პესტიციდის ნიმუშის გამოყენების საფუძველზე, შესაძლოა აღნიშნული ფრაზა მიენიჭოს გადმოდგომის რისკის შერბილებისთვის წყლის ორგანიზმების ან არასამიზნე მცენარეების დაცვის მიზნით.

ე) **SPe 5**

„ფრინველების / გარეული ძუძუმწოვრების დასაცავად, პროდუქტი მთლიანად შეტანილი უნდა იყოს ნიადაგში; უზრუნველყავით, რომ პროდუქტი ასევე სრულად იქნას შეტანილი რიგების ბოლოს“ - აღნიშნული ფრაზა უნდა მიენიჭოს პესტიციდებს, როგორცაა გრანულები ან ბურთულები, რომელიც შეტანილი უნდა იყოს ფრინველების ან გარეული ძუძუმწოვრების დასაცავად.

ვ) **SPe 6**

„ფრინველების / გარეული ძუძუმწოვრების დასაცავად მოაცილეთ გამონაჟონი“ - აღნიშნული ფრაზა უნდა მიენიჭოს პესტიციდებს, როგორცაა გრანულები ან ბურთულები, იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ფრინველების ან გარეული ძუძუმწოვრების მიერ გამოყენება. რეკომენდებულია ყველა მყარი ფორმისთვის, რომელიც გამოიყენება გაუზავებელი სახით.

ზ) **SPe 7**

„არ გამოიყენოთ ფრინველების გამრავლების პერიოდში“ - აღნიშნული ფრაზა უნდა მიენიჭოს, როდესაც შეფასება ერთიანი პრინციპების შესაბამისად ასახავს, რომ ერთი ან მეტი მარკირებული გამოყენებისთვის აუცილებელია შემარბილებელი ზომები.

თ) **SPe 8**

„საშიშია ფუტკრებისთვის./ფუტკრების და სხვა დამმტვერავი მწერების დასაცავად არ გამოიყენოთ მარცვლეულ კულტურებზე ყვავილობის დროს. არ გამოიყენოთ ფუტკრების აქტიური გამოკვების დროს. მოარიდეთ ან დაფარეთ სკები გამოყენების დროს და (დადგენილ დროს) დამუშავების შემდეგ. არ გამოიყენოთ სარეველების არსებობისას ყვავილობის დროს. მოაცილეთ სარეველები ყვავილობამდე. არ გამოიყენოთ (მიუთითეთ ვადა) ვადამდე“ - აღნიშნული ფრაზა უნდა მიენიჭოს პესტიციდებს, როდესაც შეფასება

ერთიანი პრინციპების შესაბამისად ასახავს, რომ ერთი ან მეტი მარკირებული გამოყენებისთვის შემარბილებელი ზომები გამოყენებული უნდა იქნას ფუტკრების ან სხვა დამმტვერავი მწერების დასაცავად. პესტიციდების ნიმუშის გამოყენების საფუძველზე და სხვა რელევანტური ეროვნული მარეგულირებელი დებულებების მიხედვით, შესაძლებელია შერჩეულ იქნას სათანადო ფრაზა რისკის შესარბილებლად ფუტკრებთან და სხვა დამმტვერავ მწერებთან და მათ თაობასთან დაკავშირებით.

4. კარგ სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკასთან დაკავშირებით უსაფრთხოების ზომების სტანდარტული ფრაზების დადგენილი კრიტერიუმები:

***SPa 1***

„რეზისტენტობის წარმოქმნის თავიდან ასაცილებლად, არ გამოიყენოთ აღნიშნული ან ნებისმიერი სხვა პროდუქტი, რომელიც შეიცავს (განსაზღვრეთ მოქმედი ნივთიერება ან ნივთიერებების კლასი) (გამოყენების რაოდენობა ან ვადა, რომელიც უნდა განისაზღვროს) მეტად“ - აღნიშნული ფრაზა უნდა მიენიჭოს, როდესაც შეზღუდვა აუცილებელია რეზისტენტობის განვითარების რისკის შეზღუდვის მიზნებისთვის.

5. როდენტიციდების კონკრეტული უსაფრთხოების ზომების სტანდარტული ფრაზების დადგენილი კრიტერიუმები:

ა) ***SPr 1***

„მისატყუარები განთავსებული უნდა იყოს იმგვარად, რომ მინიმუმამდე შემცირდეს სხვა ცხოველების მიერ გამოყენების რისკი. მისატყუარი უნდა დამაგრდეს იმგვარად, რომ შეუძლებელი იყოს მათი გათრევა მღრღნელების მიერ“ - აღნიშნული ფრაზა დატანილი უნდა იქნას ეტიკეტზე შესამჩნევ ადგილას იმგვარად, რომ შეძლებისდაგვარად გამოირიცხოს არასწორი გამოყენება.

ბ) ***SPr 2***

„დამუშავების ზონა მონიშნული უნდა იყოს დამუშავების პერიოდის განმავლობაში. უნდა აღინიშნოს ანტიკოაგულანტებით და ანტიდოტებით მოწამვლის საფრთხე (პირველადი ან მეორადი)“ - აღნიშნული ფრაზა დატანილი უნდა იქნას ეტიკეტზე შესამჩნევ ადგილას იმგვარად, რომ შეძლებისდაგვარად გამოირიცხოს შემთხვევითი მოწამვლა.

გ) ***SPr 3***

„ყოველდღიური დამუშავებისას, მკვდარი მღრღნელები მოცილებული უნდა იქნას დამუშავებული ზონებიდან არ განათავსოთ ნაგვის ყუთებში ან ნაგავსაყრელებზე“ ცხოველების მეორადი მოწამვლის თავიდან ასაცილებლად, აღნიშნული ფრაზა უნდა მიენიჭოს ყველა როდენტიციდს, რომელიც მოიცავს ანტიკოაგულანტებს როგორც მოქმედ

წივთიერებებს.

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მიერ დადგენილი  
საშიშროების კლასები

(დამყარებული ვირთაგვებისათვის მწვავე LD-50, გამოსახული მგ/კგ)






WHO კლასები		მწვავე LD-50/ვირთაგვა/ გამოსახული მგ/კგ/სხეულის წონაზე	
		ორალური ტოქსიკურობა	კანზე ტოქსიკურობა
Ia	განსაკუთრებით საშიში	5-ზე ნაკლები	50 -ზე ნაკლები
Ib	ძლიერ საშიში	5-50	50-200
II	ზომიერად საშიში	50-2000	200-2000
III	ნაკლებად საშიში	>2000	>2000
U	არ იწვევს მწვავე მოწავლის საშიშროებას ნორმალურ პირობებში გამოყენებისას	5000 ან >5000	

შენიშვნა: LD-50 სასიკვდილო დოზა, რომელიც იწვევს საცდელი ცოცხალი ორგანიზმების 50%-ით დაღუპვას.




GHS კლასიფიკაცია ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით



GHS Category GHS კატეგორია	Classification criteria კლასიფიკაციის კრიტერიუმები			
	Oral პერორალური		Dermal დერმალური	
	LD50/ვირთაგვა (მგ/კგ სხეულის წონა)	Hazard Statement საშიშროების დახასიათება	LD50/ვირთაგვა (მგ/კგ სხეულის წონა)	Hazard Statement საშიშროების დახასიათება
კატეგორია 1	< 5	Fatal if swallowed სასიკვდილოა გადაყლაპვისას	< 50	Fatal in contact with skin სასიკვდილოა კანზე მოხვედრისას
კატეგორია 2	5 – 50	Fatal if swallowed სასიკვდილოა გადაყლაპვისას	50 - 200	Fatal in contact with skin სასიკვდილოა კანზე მოხვედრისას
კატეგორია 3	50 – 300	Toxic if swallowed ტოქსიკურია გადაყლაპვისას	200 - 1000	Toxic in contact with skin ტოქსიკურია კანზე მოხვედრისას
კატეგორია 4	300 – 2000	Harmful if swallowed მავნებელია გადაყლაპვისას	1000 - 2000	Harmful in contact with skin მავნეა კანზე მოხვედრისას
კატეგორია 5	2000 – 5000	May be harmful if swallowed საზიანოა ჩაყლაპვისას	2000 - 5000	May be harmful in contact with skin საზიანოა კანზე მოხვედრისას




კლასიფიკაციის და მარკირების მაგალითი CLP-ს მიხედვით

კლასიფიკაცია			მარკირება			
საშიშროება		კლასიფიკაციის აბრევიატურა H გარეშე	პიქტოგრამა, კოდი	სასიგნალო სიტყვა	კოდი, საშიშროების გაფრთხილება	
კლასი	კატეგორია				კოდი	ტექსტი
მწვავე ტოქსიკურობა	კატეგორია 1	მწვავე ტოქ. 1		საშიშროება	H300 H310 H330	სასიკვდილოა გადაყლაპვისას სასიკვდილოა კანზე მოხვედრისას სასიკვდილოა ჩასუნთქვისას
	კატეგორია 2	მწვავე ტოქ. 2				
	კატეგორია 3	მწვავე ტოქ. 3	GHS06	H301 H311 H331	ტოქსიკურია გადაყლაპვისას ტოქსიკურია კანზე მოხვედრისას ტოქსიკურია ჩასუნთქვისას	
	კატეგორია 4	მწვავე ტოქ. 4		გაფრთხილება	H302 H312 H332	მავნეა გადაყლაპვისას მავნეა კანზე მოხვედრისას მავნეა ჩასუნთქვისას
კანის კოროზია/ გაღიზიანება	კატეგორია 1 <sup>(3)</sup>	კანის კორ. 1		საშიშროება	H314	იწვევს კანის ძლიერ დამწვრობას და თვალის დაზიანებას
	კატეგორია 1A	კანის კორ. 1A				
	კატეგორია 1B	კანის კორ. 1B				
	კატეგორია 1C	კანის კორ. 1C				
	კატეგორია 2	კანის გაღ. 2		გაფრთხილება	H315	იწვევს კანის გაღიზიანებას
(3)= პირობები გამოყენების ადგილზე კატეგორიისთვის 1, CLP-ს დანართი 1						
თვალის სერიოზული დაზიანება/თვალის გაღიზიანება	კატეგორია 1	თვალის დაზ. 1		საშიშროება	H318	იწვევს თვალის სერიოზულ დაზიანებას






	კატეგორია 2	თვალის გაღ. 2		გაფრთხილებ ა	H319	იწვევს თვალის სერიოზულ გაღიზიანებას
			GHS07			
რესპირატორ ული ტრაქტის ან კანის მგრძობელო ბა	რესპირატო რული მგრძობელო ობა კატეგორია 1 (3) და სუბ- კატეგორიებ ი 1A და 1B	რესპ. სენს.1 1A ან 1B		საშიშროება	H334	ჩასუნთქვისას შეუძლია გამოიწვიოს ალერგიის ან ასთმის სიმპტომები ან სუნქთვის გაძნელება
			GHS08			
	კანის რესპირატო რული მგრძობელო ობა კატეგორია 1 (3) და სუბ- კატეგორიებ ი 1A და 1B	კან. სენს.1 1A ან 1B		გაფრთხილებ ა	H317	შეუძლია გამოიწვიოს კანის ალერგიული რეაქცია
			GHS07			
(3)= პირობები გამოყენების ადგილზე კატეგორიისთვის 1, CLP-ს დანართი1						

კლასიფიკაცია			მარკირება			
საშიშროება		კლასიფიკა ციის აბრევიატუ რა H გარეშე	პიქტოგრამა, კოდი	სასიგნალო სიტყვა	კოდი, საშიშროების გაფრთხილება	
კლასი	კატეგორია				კოდი	ტექსტი
ჩანასახოვანი უჯრედის მუტაგენობა	კატეგორია 1 და სუბ- კატეგორიებ ი 1A და 1B	მუტა.1, 1A ან 1B		საშიშროება	H340	შეიძლება გამოიწვიოს გენეტიკური დეფექტები(4)
	კატეგორია 2	მუტა.2		გაფრთხილებ ა	H341	გენეტიკური დეფექტების საეჭვო გამომწვევი(4)
კანცეროგენობ ა	კატეგორია 1 და სუბ- კატეგორიებ ი 1A და 1B	კანც.1, 1A ან 1B		საშიშროება	H 350	შეიძლება გამოიწვიოს კიბო(4)
	კატეგორია 2	კანც. 2		გაფრთხილებ ა	H 350i	შეიძლება გამოიწვიოს კიბო ინჰალაციისას
			GHS08	გაფრთხილებ ა	H 351	კიბოს საეჭვო გამომწვევი (4)
(4)=(ექსპოზიციის დადგენილი მარშრუტი, თუკი საბოლოოდ დადასტურებულია, რომ არც ერთი სხვაზემოქმედების გზა არ ქმნის საფრთხეს)						
რეპროდუქცი ული ტოქსიკურობა	კატეგორია 1 და სუბ- კატეგორიებ ი 1A და 1B	რეპრ.1, 1A ან 1B		საშიშროება	H 360 (5) H360F (6) H 360D(6 )	შეიძლება დაზიანდეს ნაყოფიერება ან მუცლადმყოფი ბავშვი შეიძლება დაზიანდეს ნაყოფიერება შეიძლება დაზიანდეს მუცლადმყოფი ბავშვი შეიძლება დაზიანდეს

			GHS08		H360F D <sup>(6)</sup> H360F d <sup>(6)</sup> H360 Df <sup>(6)</sup>	ნაყოფიერება, შეიძლება დაზიანდეს მუცლადმყოფი ბავშვი შეიძლება დაზიანდეს ნაყოფიერება. საეჭვოა დაზიანდეს მუცლადმყოფი ბავშვი საეჭვოა დაზიანდეს ნაყოფიერება
	კატეგორია 2	რეპრ. 2		გაფრთხილებ ა	H 361 <sup>(5)</sup> H 361f <sup>(6)</sup> H 361d <sup>(6)</sup> H 361fd <sup>(6)</sup>	საეჭვოა დაზიანდეს ნაყოფიერება ან მუცლადმყოფი ბავშვი საეჭვოა ნაყოფიერების დაზიანება საეჭვოა დაზიანდეს მუცლადმყოფი ბავშვი საეჭვოა დაზიანდეს ნაყოფიერება და მუცლადმყოფი ბავშვი
	დამატებითი კატეგორია ლაქტაციის დროს	ლაკტ.	არარის პიქტოგრამა	არ არის სასიგნალო სიტყვა	H 362	შეიძლება დააზიანოს მუცლადმყოფი ბავშვი
<p><sup>(5)</sup>= (სპეციფიკური ეფექტი თუ ცნობილია)(ექსპოზიციის დადგენილი მარშრუტი, თუკი საბოლოოდ დადასტურებულია, რომ არც ერთი სხვა ზემოქმედების გზა არ ქმნის საფრთხეს) <sup>(6)</sup> F= ნაყოფიერება. D = განვითარება (მცირე fd = საეჭვო ეფექტი)</p>						
სპეციფიკური სამიზნე ორგანოების ტოქსიკურობა (ერთჯერადი ზემოქმედება)	კატეგორია 1	STOT SE1		საშიშროება	H 370	აზიანებს ორგანოებს <sup>(7)</sup>
	კატეგორია 2	STOT SE2		გაფრთხილებ ა	H 371	შეიძლება დაზიანოს ორგანოები <sup>(7)</sup>
	კატეგორია 3	STOT SE3		გაფრთხილებ ა	H 335	შეიძლება გამოიწვიოს სასუნთქი გზების გაღიზიანება
					H 336	შეიძლება გამოიწვიოს ძილიანობა ან თავბრუსხვევა
<p><sup>(7)</sup>= ( ან აღნიშნეთ ყველა დაზიანებული ორგანო თუ ცნობილია)(ექსპოზიციის დადგენილი მარშრუტი, თუკი საბოლოოდ დადასტურებულია, რომ არც ერთი სხვა ზემოქმედების გზა არ ქმნის საფრთხეს)</p>						
სპეციფიკური სამიზნე ორგანოების ტოქსიკურობა (განმეორებითი)	კატეგორია 1	STOT RE1		საშიშროება	H 372	იწვევს ორგანოების დაზიანებას <sup>(8)</sup> ხანგრძლივი ან განმეორებითი ზემოქმედებისას <sup>(9)</sup>

ზემოქმედება)			GHS08			
	კატეგორია 2	STOT RE2		გაფრთხილება	H 373	შეიძლება გამოიწვიოს ორგანოების დაზიანება <sup>(8)</sup> ხანგრძლივი ან განმეორებითი ზემოქმედებისას <sup>(9)</sup>
<sup>(8)</sup> = (აღნიშნეთ ყველა დაზიანებული ორგანო თუ ცნობილია) <sup>(9)</sup> =(ექსპოზიციის დადგენილი მარშრუტი, თუკი საბოლოოდ დადასტურებულია, რომ არც ერთი სხვა ზემოქმედების გზა არ ქმნის საფრთხეს)						

კლასიფიკაცია			მარკირება			
საშიშროება		კლასიფიკაციის აბრევიატურა H გარეშე	პიქტოგრამა, კოდი	სასიგნალო სიტყვა	კოდი, საშიშროების გაფრთხილება	
კლასი	კატეგორია				კოდი	ტექსტი
ასპირაციული ტოქსიკურობა	კატეგორია 1	ასპ. ტოქ.1	 GHS08	საშიშროება	H304	შეიძლება იყოს სასიკვდილო გადაყლაპვის ან სასუნთქ გზებში მოხვედრისას
საშიშა წყლის გარემოსათვის	მწვავე კატეგორია 1	წყლისათვის მწვავე 1	 GHS09	გაფრთხილება	H400	ძალიან ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის
	ქრონიკული კატეგორია 1	წყლისათვის ქრონიკული 1			H410	ძალიან ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის, მოქმედების გრძელვადიანი ეფექტით
	ქრონიკული კატეგორია 2	წყლისათვის ქრონიკული 2			H411	ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისათვის, მოქმედების გრძელვადიანი ეფექტით
	ქრონიკული კატეგორია 3	წყლისათვის ქრონიკული 3			H412	მავნეა წყლის ორგანიზმებისათვის, მოქმედების გრძელვადიანი ეფექტით
	ქრონიკული კატეგორია 4	წყლისათვის ქრონიკული 4			H413	შეიძლება გამოიწვიოს ხანგრძლივი მავნე ზემოქმედება წყლის ორგანიზმებისათვის
საშიშა ოზონის შრისათვის	კატეგორია 1	ოზონისათვის 1	 GHS07	გაფრთხილება	H420	ზიანს აყენებს საზოგადოებრივ ჯანმრთელობას და გარემოს ზემო ატმოსფეროში ოზონის განადგურებით

\* =კოდი პიქტოგრამისათვის და H- განცხადებისთვის არ არის საჭირო ჩართული იყოს ტარის ეტიკეტში

აბრევიატურა საშიშროების თითოეული კატეგორიისთვის:

1. ფეთქებადი: E.
2. დამჟანგავი: O, ოქსიდანტი.
3. მაღალ აალებადი: F+.
4. მსუბუქად აალებადი: F.
5. აალებადი: R10.
6. მეტად ტოქსიკური: T+.
7. ტოქსიკური: T.
8. მავნე: Xn.
9. კოროზიული: C.
10. გამაღიზიანებელი: Xi.
11. მგრძნობიარე: R42 და/ან R43.
12. კანცეროგენული: კარც კატ. (1, 2 ან 3).
13. მუტაგენური: მუტა. კატ. (1, 2, 15 3).
14. ტოქსიკური რეპროდუქციისთვის. რეპრ. კატ. (1, 2, ან 3).
15. საშიში გარემოსთვის: N ან R52 და/ან R53.

**შენიშვნა:** ნებისმიერ შეფუთვაზე მკაფიოდ და გარკვევით უნდა მიეთითოს პრეპარატში წარმოდგენილი ნივთიერების ან ნივთიერებების ქიმიური სახელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ:

1. T<sup>+</sup>, T, X<sub>n</sub> კლასიფიცირებული პრეპარატებისთვის - მხოლოდ კონცენტრაციებში წარმოდგენილი T<sup>+</sup>, T, X<sub>n</sub> ნივთიერებები, რომელიც ტოლია ან აღემატება განსაზღვრული თითოეული მათგანის მინიმალურ ზღვარს (X<sub>n</sub> ზღვარი).
2. C კლასიფიცირებული პრეპარატებისთვის, მხოლოდ კონცენტრაციებში წარმოდგენილი C ნივთიერებები, რომელიც ტოლია ან აღემატება განსაზღვრული თითოეული მათგანის მინიმალურ ზღვარს (X<sub>j</sub> ზღვარი).
3. ნივთიერებების სახელი, რომელიც განაპირობებს პრეპარატის კლასიფიკაციას ერთ ან მეტ შემდეგ საშიშ კატეგორიაში:

ა) კანცეროგენული კატეგორია 1, 2 ან 3;

ბ) მუტაგენური კატეგორია 1, 2 ან 3;

გ) ტოქსიკური რეპროდუქციისთვის კატეგორია 1,2 ან 3;

დ) მეტად ტოქსიკური, ტოქსიკური ან საზიანო ერთჯერადი ზემოქმედების შემდეგ არა-ლეტალური ეფექტების გამო;

ე) ტოქსიკური ან მავნე განმეორებითი ან ხანგრძლივი ზემოქმედების შემდეგ, სერიოზული ეფექტების გამო;

ვ) სენსიტიური.

4. ქიმიური სახელი უნდა იყოს ერთ-ერთი განსაზღვრება ან საერთაშორისოდ აღიარებული ქიმიური ნომენკლატურა, თუ ჯერ კიდევ არ არსებობს შესაბამისი განსაზღვრება.

5. ზემოაღნიშნული დებულებების შედეგად, ნებისმიერი ნივთიერების სახელი, რომელიც განაპირობებს პრეპარატის კლასიფიკაციას შემდეგ საშიშ კატეგორიებში: ფეთქებადსაშიში; დამჟანგავი; განსაკუთრებით აალებადი; მაღალაალებადი; აალებადი; გამაღიზიანებელი; საშიში გარემოსთვის, არ არის საჭირო დატანილი იყოს ეტიკეტზე, თუ ნივთიერება უნდა მიეთითოს პირველი, მე-2 ან მე-3 პუნქტების შესაბამისად.

6. საერთო წესის შესაბამისად, მაქსიმუმ ოთხი ქიმიური სახელი უნდა იყოს საკმარისი ნივთიერებების დასადგენად, რომელიც უპირველესად პასუხისმგებელია ჯანმრთელობისთვის ძირითადი საფრთხეებზე, რომელიც განაპირობებს კლასიფიკაციას და შესაბამისი ფრაზების შერჩევაზე რისკის არსებობის შესახებ. ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა საჭირო იყოს ოთხზე მეტი ქიმიური სახელი.

## პესტიციდების საშიშროების სახეობათა აღმნიშვნელი სიმბოლოები

ქიმიური საშიშროების ხასიათისა და სიძლიერის აღაწერისათვის GHS იყენებს საშიშროების კლასს და საშიშროების კატეგორიას. 29 საშიშროების კლასიდან პესტიციდებისათვის როგორც წესი გამოიყენება: აალებადობა (წვის თვისება), მწვავე ტოქსიკურობა, კანის ამოჭმა/კანის გაღიზიანება, თვალების სერიოზული დაზიანება/თვალების გაღიზიანება, კანის/ კანის სენსიბილიზაცია, მწვავე და ქრონიკული საშიშროება წყლის ორგანიზმებისათვის.

ქვემოთ მოყვანილი სიმბოლოებით აღინიშნება შემდეგი საშიშროების სახეები:

### 1. ასაფეთქებელი ნივთიერებები, თვით-რეაქციული ნივთიერებები, ორგანული პეროქსიდები



სიმბოლო უჩვენებს აფეთქებას. ეს პიქტოგრამა არ არის აქტუალური პესტიციდებისათვის, ვინაიდან ამ თვისებების მქონე ნივთიერებები არ არიან დაშვებული გამოსაყენებლად როგორც პესტიციდები

### 2. წნევის ქვეშე მყოფი აირები



ეს სიმბოლო გამოიყენება ბრომმეთილის, აეროზოლური ბალონების აღსანიშნავად და არ არის აქტუალური დანარჩენი პესტიციდებისათვის

### 3.დამჟანგავი



სიმბოლო უჩვენებს ადვილად დამჟანგავ ნივთიერებას. არ არის აქტუალური პესტიციდებისათვის

4. ადვილად აალებადი, თვით-გაცხელებადი, ნივთიერებები რომლებიც წარმოქმნიან ადვილად აალებად აირს, ორგანული პეროქსიდები



სიმბოლო უჩვენებს ადვილად აალებადობას, თვითაალებადობას, ძლიერ აალებად ნივთიერებას, რომელიც წყალთან ურთიერთქმედებისას გამოყოფს აალებად აირებს.

### 5. მწვავე ტოქსიკურობა



სიმბოლო უჩვენებს პერორალურ, დერმალურ და ინჰალაციურ მწვავე ტოქსიკურობას

6. კანის დამწვრობა, თვალის სერიოზული დაზიანება, ლითონების კოროზია



სიმბოლო უჩვენებს სითხის დაცემას ორი მინის ჭურჭლიდან. ერთი ეცემა ხელს, მეორე მეტალის ზედაპირს.

7. კანცეროგენობა, რესპირატორული სენსიბილიზაცია, რეპროდუქციული ტოქსიკურობა, სამიზნე ორგანოს სპეციფიკური ტოქსიკურობა, მუტაგენობა, ასპირაციის საშიშროება



8. ტოქსიკური (მავნე), კანის გაღიზიანება, თვალის ან სასუნთქი გზების გაღიზიანება, კანის სენსიბილიზაცია, საშიშია ოზონის შრისთვის





## 9. ტოქსიკურია წყლის გარემოსათვის




შენიშვნა: შემდგომი ინფორმაციისათვის ამ სიმბოლოების გამოყენებისას საჭიროა კონსულტაციის მიღება სურსათის ეროვნულ სააგენტოში

დანართი №7

პესტიციდების შენახვისა და მათთან მუშაობის დროს უსაფრთხოების ზომების აღმნიშვნელი პიქტოგრამები





**შენახვა:**

1. პრეპარატი უნდა ინახებოდეს ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას და კვების პროდუქტებისაგან მოშორებით.
2. რჩევები გამოყენების დროს:
  - ა) უსაფრთხოების ზომები სამუშაო ხსნარის მომზადებისას;
  - ბ) უსაფრთხოების ზომები შესხურების დროს;
  - გ) ხელები დაცული უნდა იყოს ხელთათმანებით;
  - დ) სახე და თვალები დაფარული უნდა იყოს ნიღბით ან დამცავი სათვალებით;
  - ე) პრეპარატი თვალებზე ან კანზე მოხვედრისას ჩამოირეცხოს წყლით;
  - ვ) გამოიყენეთ წინსაფარი ან კომბინიზონი;
  - ზ) გამოიყენეთ რეზინის ჩექმები;
  - თ) დაიცავით სასუნთქი გზები პირბადით ან რესპირატორით.
3. გაფრთხილებები:
  - ა) საშიშია შინაური ცხოველებისა და ფრინველებისათვის;
  - ბ) საშიშია თევზებისათვის.

ეს გამაფრთხილებელი შავ-თეთრი პიქტოგრამები თავსდება ეტიკეტის ქვედა ნაწილში. 1 ლიტრიან და 5 ლიტრიან კონტეინერებზე მათი ზომა შეიძლება იყოს 15 მმ x 15 მმ, მაგრამ არანაკლები 7 მმ x 7 მმ.

კონტეინერის ერთპანელიანი ეტიკეტის ნიმუში

პროდუქტის სახელწოდება

მოქმედი ნივთიერების სახელწოდება, კონცენტრაცია და პრეპარატული ფორმა

პროდუქტის იდენტიფიკატორები  
საერთო დახასიათება და გამოყენების წესი

შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილზე

გამოყენების  
ინსტრუქცია  
დამუშავებულ  
ფართობზე  
გასვლის დრო  
ლოდინის პერიოდი  
პასუხისმგებელი პირი

რეგისტრაციის სფერო

დამამზადებელი, დისტრიბუტორი, აგენტი  
რეგისტრანტი  
დამფასოებელი  
სავაჭრო მარკა  
ნეტო

გამომშვების  
თარიღი


პარტიის ნომერი

საშიშროების ნიშანი

☠

გაფრთხილება საშიშროებაზე

### შეფუთვის და მარკირების ნიმუში



სამპანელიანი ეტიკეტის ნიმუში

მარცხენა დამატებითი პანელი	ძირითადი პანელი	მარჯვენა დამატებითი პანელი
<p>საშიშროების შეტყობინება გაფრთხილების შეტყობინება</p> <p>ყოველთვის: არ ჭამოთ, არ დალიოთ ან არ მოწიოთ პრეპარატის გამოყენების დროს.</p> <p>დაიბანეთ გამოყენების შემდეგ</p> <p>პირველი დახმარება &amp; ექიმთან კონსულტაცია</p> <p>ყოველთვის: ტოქსიკოლოგიური ცენტრის საკონტაქტო ინფორმაცია</p> <p>რჩევები დაღვრის შემთხვევაში</p> <p>[QR კოდი]</p>	<p>პრეპარატის დასახელება</p> <p>სავაჭრო დასახელება, კონცენტრაცია, პრეპარატული ფორმა, პრეპარატის GHS სხვა იდენტიფიკატორები</p> <p>პრეპარატის აღწერა და გამოყენება</p> <hr/> <p>გამოყენებამდე გაეცანით ინსტრუქციას</p> <p>შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილზე</p> <hr/> <div style="display: flex; justify-content: space-around; align-items: center;"> <div style="border: 1px solid red; padding: 5px; transform: rotate(-45deg); text-align: center;">GHS საშიშროების პიქტოგრამა</div> <div style="border: 1px solid red; padding: 5px; transform: rotate(-45deg); text-align: center;">GHS საშიშროების პიქტოგრამა</div> <div style="border: 1px solid red; padding: 5px; transform: rotate(-45deg); text-align: center;">GHS საშიშროების პიქტოგრამა</div> </div> <hr/> <p>სასიგნალო სიტყვა</p> <p>რეგისტრაციის ნომერი</p> <p>[მომხმარებლის კატეგორია]</p> <hr/> <p>მწარმოებელი</p> <p>დისტრიბუტორი</p> <p>წარმომადგენელი</p> <p>რეგისტრანტი</p> <p>დამფასოებელი</p>	<p>[დადგენილი წარწერა]</p> <p>გამოყენების ინსტრუქცია</p> <p>კულტურა/ები;</p> <p>მავნებელი/ლები;</p> <p>გაფრთხილება/შეზღუდვა;</p> <p>ხარჯვის ნორმა/მები; შერევის ინსტრუქცია; შეუთავსებლობა;</p> <p>შეტანის წესი; ლოდინის პერიოდი; ხელახლა შესვლის პერიოდი; რეზისტენტობის პრევენციის შესახებ ინფორმაცია და ა.შ.</p> <hr/> <p>შენახვის და განკარგვის სამართლებრივი პასუხისმგებლობა</p>
		<div style="border: 1px solid black; padding: 5px; width: fit-content; margin: auto;"> <p>გამოშვების თარიღი</p> <p>შენახვის ვადა</p> <p>პარტიის ნომერი</p> </div>

--	--	--

სავაჭრო ნიშანი

ნეტო

საშიშროების ფერის ზოლი

გამაფრთხილებელი

პიქტოგრამები

### თავი III . აგროქიმიკატის მარკირების წესი და პირობები

#### მუხლი 20. აგროქიმიკატებთან დაკავშირებული ზოგადი მოთხოვნები

- სასუქების მიწოდების ჯაჭვში ყველა მომწოდებელი ვალდებულია მოახდინოს ნივთიერებების კლასიფიკაცია, მარკირება და მათ ბაზარზე განთავსებამდე.
- კლასიფიკაცია მოიცავს ოთხ საბაზისო ეტაპს:
  - ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაციის მოგროვება;
  - ინფორმაციის შემოწმება მათი ადეკვატურობისა და საიმედოობის გარანტირების მიზნით;
  - არსებული ინფორმაციის შეფასება კლასიფიკაციასთან მიმართებაში;
  - სათანადო კლასიფიკაციის შესახებ გასაწყვეტილების მიღება.
- შემდგომმა მომხმარებლებმა ქიმიურად არ უნდა შეცვალოს ნივთიერება ან ნარევი წარმოდგენილი ნებისმიერი ნივთიერება. თუ შემდგომი მომხმარებლები შეცვლიან ნივთიერების ან ნარევის შემადგენლობას, მათ უნდა მოახდინონ მათი კლასიფიცირება GHC/CLP შესაბამისად, ბაზარზე განთავსებამდე.
- თუ ნარევის რომელიმე შემადგენელი ნაწილი გადაკლასიფიცირდება როგორც საშიში, მაშინ მომწოდებლები ვალდებული არიან მოახდინონ მათი ხელახალი მარკირება რაც შეიძლება გონივრულად და გასცენ განახლებული უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი.

#### მუხლი 19. AN-ის კლასიფიკაცია

- იქიდან გამომდინარე, მოიცავს თუ არა ის ერთზე მეტ ნივთიერებას, აზოტის მაღალი შემცველობის AN კლასიფიცირებულია როგორც ნივთიერება ან ნარევი:
  - ამონიუმის ნიტრატი, რომელიც მოიცავს AN-დან 34.5% N -ს, განიხილება როგორც ნივთიერება;
  - ამონიუმის ნიტრატი, რომელიც მოიცავს AN-დან 33.5% N -ს, განიხილება როგორც ნარევი.

2. ვინაიდან AN კლასიფიცირებულია, როგორც დამჟანგავი და თვალის გამაღიზიანებელი, შეფუთვაზე წარმოდგენილი უნდა იყოს საფრთხის შესახებ აუცილებელი გაფრთხილებები და პიქტოგრამები .

3. ნარევი რომელიც მოიცავს >10% ნივთიერებას, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც თვალის გამაღიზიანებელი (AN), ასეთი ნარევის მარკირებაში ცვლილებები უნდა შესრულდეს გონივრულ ვადაში.

## **მუხლი 20. აგროქიმიკატების მარკირება და შეფუთვა**

1. მიმწოდებლებმა უნდა შეცვალონ სახიფათო ნივთიერებების შესახებ დირექტივის (DSD) და სახიფათო ნარევის შესახებ დირექტივის (DSP) რისკის ეტაპები, უსაფრთხოების ეტაპები და სიმბოლოები ეკვივალენტური საფრთხის მახასიათებლებით, სიფრთხილის ზომებით და პიქტოგრამებით.

2. მარკირების მოთხოვნები შეიძლება წარმოიქმნას სამი სხვადასხვა რეგულაციიდან:

ა) GHS/CLP;

ბ) ტრანსპორტთან დაკავშირებული რეგულაციები, როგორცაა ADR კლასიფიცირებული პროდუქტების შემთხვევაში;

გ) სასუქებთან დაკავშირებული რეგულაციები (რომლებიც მოითხოვს საკვებ ნივთიერებებთან დაკავშირებულ დეკლარაციას).

3. თავიდან უნდა იქნას აცილებული ეტიკეტებზე წარმოსადგენი პიქტოგრამების დუბლირება.

4. ეტიკეტზე მითითებული უნდა იყოს (კლასიფიცირებული პროდუქტის შემთხვევაში):

ა) აგროქიმიკატის სავაჭრო დასახელება;

ბ) აგროქიმიკატის შემადგენლობა, მასში შემავალი ყველა ელემენტის სიტყვიერი დასახელებით, ქიმიური ფორმულით და პროცენტული შემცველობით;

გ) რთული სასუქის შემთხვევაში (თუ აგროქიმიკატი შეიცავს რამდენიმე ელემენტს), მაკროელემენტები მითითებული უნდა იყოს შემდეგი თანმიმდევრობით:

გ.ა) აზოტი–N;

გ.ბ) ფოსფორი–P<sub>2</sub>O<sub>5</sub> ან P;

გ.გ) კალიუმი–K<sub>2</sub>O ან K;

გ.დ) კალციუმი–CaO ან Ca;

- გ.ე) მაგნიუმი—MgO ან Mg;
- გ.ვ) სულფატი—SO<sub>3</sub> ან S;
- დ) იმ შემთხვევაში, თუ სასუქი შეიცავს Ca, Mg, S, მათი შემადგენლობა უნდა იყოს მითითებული როგორც:
- დ.ა) CaSO<sub>4</sub> – კალციუმის სულფატი CaO –%, SO<sub>3</sub> –%;
- დ.ბ) MgSO<sub>4</sub> – მაგნიუმის სულფატი MgO –%, SO<sub>3</sub> –%;
- ე) ასევე მითითებული უნდა იყოს ყველა ის მიკროელემენტი, რომელსაც შეიცავს რთული სასუქი;
- ვ) პროდუქტის განმსაზღვრელი (EC და CAS ნომერი);
- ზ) აგროქიმიკატის მწარმოებლის/მიმწოდებლის სრული სახელწოდება, მისამართი და ტელეფონის ნომერი, სავაჭრო ნიშანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- თ) პრეპარატული ფორმა;
- ი) აგროქიმიკატის დანიშნულება/გამოყენების სფერო (სასოფლო-სამეურნეო კულტურა, შეტანის წესი, დოზა, ჯერადობა, ვადები);
- კ) შენახვის პირობები;
- ლ) ნივთიერების ან ნარევის ნომინალური რაოდენობა ( აგროქიმიკატის წონა);
- მ) დამზადების თარიღი;
- ნ) პარტიის ნომერი;
- ო) შენახვის ვადა/ვარგისანობა;
- პ) რისკების მახასიათებლები-საშიშროების კლასი, კატეგორია;
- ჟ) საშიშროების სიმბოლო - პიქტოგრამა, სასიგნალო სიტყვები (მაგ. გაფრთხილება);
- რ) საშიშროების შესახებ განცხადება- H ფრაზები, საშიშროების გამაფრთხილებელი P ფრაზები ( ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ს) რეგისტრანტის/დისტრიბუტორის სახელწოდება, რეკვიზიტები;
- ტ) წვრილი დაფასოების შემთხვევაში მითითებული უნდა იყოს დამფასოებლის სრული მონაცემები ( დასახელება, რეკვიზიტები);
- უ) სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი, თარიღი;
- ფ) დაუშვებელია ცარიელი ტარის ხელმეორედ გამოყენება ;
- ქ) დამატებითი ინფორმაცია თუ საჭიროა:
- ქ.ა) სტანდარტის დასახელება;



ქ.ბ) საგანგებო სამსახურის ტელეფონის ნომერი;

ქ.გ) ევროკავშირში თავისუფალ მიმოქცევაში დაშვებული სასუქის შემთხვევაში სავალდებულოა ტარის ეტიკეტზე მიეთითოს „EC“.

5. ეტიკეტები მკაცრად უნდა იყოს მიკრული შეფუთვის ერთ ან მეტ ზედაპირზე.

**შენიშვნა:** ADR -სთან დაკავშირებით კლასიფიცირებული პროდუქტებისთვის სახიფათო ტვირთის მიმანიშნებელი ეტიკეტები აუცილებლად უნდა იყოს შეფუთვის ორივე მხარეს.

## მუხლი 21. პიქტოგრამები

1. პიქტოგრამები, რომელიც მიუთითებს განსაკუთრებით საშიშ კლასზე, მითითებული უნდა იყოს ეტიკეტზე.

2. პიქტოგრამები უნდა მოიცავდეს სულ მცირე ეტიკეტის ზედაპირის ერთ მეხუთმეტედს, უნდა იყოს რომბის ფორმის და უნდა ჰქონდეს შავი სიმბოლო თეთრ ფონზე წითელი საზღვრებით.

3. თუ პიქტოგრამა მოთხოვნილია ADR -ს შესაბამისად, ეკვივალენტური CLP პიქტოგრამა ასევე არ არის საჭირო, რომ წარმოდგენილი იყოს, მაგ. გრანულირებულ AN-ს აქვს ყვითელი რომბის ფორმა UN2067 5.1 დამჟანგავი აგენტის სიმბოლოთი, და ამიტომ არ საჭიროებს მის ჩვენებას წითელი/თეთრი რომბის ფორმის დამჟანგავი აგენტის სიმბოლოთი.



თვალის გამღიზიანებელთან დაკავშირებული პიქტოგრამის ნიმუში



## **მუხლი 22. უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი**

1. უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელთან დაკავშირებული მოთხოვნების შესაბამისად, კომპანიებმა უნდა მიუთითონ უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელში ყველა ნივთიერება ან ნარევი, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც საშიში.
2. უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი ასევე საჭიროა ნარევისთვის, რომელიც არ არის კლასიფიცირებული როგორც საშიში, მაგრამ მოიცავს ისეთი ნივთიერების 1%-ზე მეტს, რომელიც საფრთხეებს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას ან გარემოს. ამასთან დაკავშირებით, მიკრონუტრიენტები უნდა იყოს გათვალისწინებული და განსაკუთრებით ისინი, რომელიც მოიცავს ბორის ნარევს.
3. უნდა იყოს მითითებული უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლების ხანგრძლივობის სიდიდე.

## **მუხლი 23. ზემოქმედების სცენარები**

1. გაგმელებული უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლები უნდა მოიცავდეს ზემოქმედების სცენარებს თითოეულ რეგისტრირებულ გამოყენებაზე.
2. ზემოქმედების სცენარები უნდა მომზადდეს და დანართის სახით დაემატოს უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლებს. ისინი უნდა მოიცავდეს ყველა გამოვლენილ გამოყენებას და უნდა მოიცავდეს პირობებისა და რისკის მართვის ღონისძიებებს, რომელიც აღწერს როგორ ხდება ნივთიერების ან ნარევის წარმოება ან გამოყენება მისი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში და როგორ უნდა გააკონტროლოს შემდგომმა მომხმარებლებმა ადამიანებსა და გარემოზე მათი ზემოქმედება. მათ უნდა გაავრცელონ საექსპლუატაციო პირობები და რისკის მართვის პირობები მიწოდების ჯაჭვის საშუალებით. მიწოდების

ჯაჭვში ეს მასალა უნდა მომზადდეს იმ კომპანიის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია რეგისტრაციაზე.

## **მუხლი 24. ჩანაწერის წარმოება**

ინფორმაცია შენახული უნდა იყოს იმგვარად, რომ ის ხელმისაწვდომი იყოს შემოწმებისთვის სულ მცირე 10 წელი ნივთიერების ან ნარევის ბოლო მოწოდების შემდეგ. ეს შესაძლოა იყოს ინფორმაცია კლასიფიკაციასთან, მარკირებასთან და უსაფრთხოების ფურცლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

### **განმარტებითი ბარათი**

**„ტექნიკური რეგლამენტის - „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მარკირების წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №427 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტზე**

### **ინფორმაცია პროექტის შესახებ**

პროექტი ითვალისწინებს „ტექნიკური რეგლამენტის - „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მარკირების წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №427 დადგენილებაში ცვლილების შეტანას, კერძოდ, დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის - „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მარკირების წესის“ ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას.

პროექტის მომზადება განპირობებულია „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებით. კერძოდ, ზემოაღნიშნული შეთანხმების განუყოფელი ნაწილია „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ შეთანხმება (DCFTA) რომლის მე-4 თავის თანახმად, საქართველოს მიერ უნდა განხორციელდეს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროების მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამ მიზნით საქართველოს მიერ DCFTA-ის ძალაში შესვლის შემდეგ მომზადდა იმ რეგულაციების და დირექტივების ჩამონათვალი,

რომლებთანაც უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება (DCFTA -ის მე-4 თავი, სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები, დანართი XI-B). მათ შორის არის (EU) No 547/2011 COMMISSION REGULATION of 8 June 2011 implementing Regulation (EC) No 1107/2009 of the European Parliament and of the Council as regards labelling requirements for plant protection products.

გარდა ამისა, პროექტის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“ საქართველოს კანონი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) “პესტიციდების განაწილებისა და გამოყენების საერთაშორისო კოდექსი“ (პესტიციდების მარკირების სათანადო პრაქტიკის სახელმძღვანლო), ასევე “ქიმიური ნივთიერებებისა და ნარევების კლასიფიკაციის, ნიშანდებისა და შეფუთვის გლობალური ჰარმონიზებული სისტემა (GHS)“ და CLP რეგლამენტი, REGULATION (EC) No 1272/2008 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 16 December 2008 on classification, labelling and packaging of substances and mixtures, amending and repealing Directives 67/548/EEC and 1999/45/EC, and amending Regulation (EC) No 1907/2006 (2008 წლის 16 დეკემბრის რეგულაცია (EC) N1272/2008 ნივთიერებებისა და ნარევების კლასიფიკაციის, მარკირებისა და შეფუთვის შესახებ, რომელიც ცვლის და აუქმებს დირექტივებს 67/548/EEC და 1999/45/EC, და ცვლის რეგულაციას (EC) N 1907/2006).

პროექტის მიზანია: უზრუნველყოს ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვა, ასევე ნივთიერებების, ნარევების (ანუ მზა ფორმით კონკრეტული პესტიციდების და აგროქიმიკატების) თავისუფალი მიმოქცევა და ხელი შეუწყოს საერთაშორისო ვაჭრობას; უზრუნველყოს ბაზარზე განთავსებული, მათ შორის სახიფათო ნივთიერებებისა და ნარევების, მარკირებისა და შეფუთვის ჰარმონიზაცია და მომწოდებლების მიერ ვალდებულებების შესრულება. ვინაიდან, საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეგისტრანტის/მწარმოებლის, იმპორტიორის და მიწოდების ჯაჭვში ჩართული სხვა პირების მიერ ღირებული ინფორმაციის მიწოდებას პესტიციდის და აგროქიმიკატების ეფექტურობის და ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე, მის ცოცხალ ორგანიზმებზე ზემოქმედების შესახებ, რისკის შეფასების მიზნით.

მოქმედ რედაქციაში პირველ ეტაპზე შეტანილი ცვლილებები მიზნად ისახავს ქიმიური ნივთიერებების კლასიფიკაციისა და მარკირების გლობალურ ჰარმონიზირებულ სისტემაზე (GHC/CLP) ეტაპობრივ გადასვლას.

პროექტით გათვალისწინებულია ისეთი საკითხების დარეგულირდება, რომლებიც წარმოიშობა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქიმიკატების (პესტიციდებისა და აგროქიმიკატების) მარკირების და შეფუთვის დროს და ვრცელდება, აგრეთვე, მიკრობიოლოგიურ საშუალებებზე. პროექტით განსაზღვრული მოთხოვნები ეხება პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ყველა დამამზადებელ საწარმოს, იმპორტიორებს, დისტრიბუტორებს, რეალიზატორებსა და მომხმარებლებს, ფიზიკურ და იურიდიულ პირების, ვისი საქმიანობაც დაკავშირებულია პესტიციდების და აგროქიმიკატების იმპორტთან, წარმოებასთან (დაფასობასთან), ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან, რეალიზაციასთან, რეკლამასთან და გამოყენებასთან და წარმოადგენს ძირითად დოკუმენტს მაკონტროლებელი ორგანოებისათვის ზედამხედველობისა და კონტროლის განსახორციელებლად.

პროექტით მოქმედ რედაქციას დაემატა ისეთი დებულებები, როგორცაა: ტერმინთა განმარტებები, ქიმიური და ბიოლოგიური მოქმედი ნივთიერების და ნარევების (პრეპარატების) კლასიფიკაციის, მარკირებისა და შეფუთვის მონაცემებთან და აღვნიშვნებთან დაკავშირებული ახალი მოთხოვნები, GHS/CLP -ის კლასიფიკაციის, შეფუთვის და მარკირების ზოგადი სტანდარტები, სასიგნალო სიტყვები, გამაფრთხილებელი ფრაზები, უსაფრთხოების ფრაზები, ეტიკეტების ნიმუშები და სხვ.

### **ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ**

პროექტი მომზადებულია (EU) No 547/2011 COMMISSION REGULATION of 8 June 2011 implementing Regulation (EC) No 1107/2009 of the European Parliament and of the Council as regards labelling requirements for plant protection products შესაბამისად.

**ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის ზეგავლენის შეფასება**  
პროექტი არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენას.

**პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება**

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ასიგნებების გამოყოფას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ამასთან პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

### **პროექტის მოსალოდნელი შედეგები**

პროექტის მიღებით მოხდება პესტიციდების და აგროქიმიკატების კლასიფიკაციის, მარკირების და შეფთვის პროცედურების სრულყოფა, რითაც მიღწეული იქნება მათი ეფექტიანი გამოყენება და ადამიანისა და გარემოსათვის უსაფრთხო მოხმარება.

### **პროექტის განხორციელების ვადები**

პროექტი ამოქმედდეს 2023 წლის პირველი იანვრიდან.

### **პროექტის ავტორი და წარმდგენი**

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

